# საქართველოს რესპუბლიკა



ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴅⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴚⴗⴓⴈⴊⴍⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴋⴀⴂⴊⴍⴄⴑⴈⴀ.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 28 ივნისი, 2012 წელი.

№122 (6998)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## მთელი მოსახლეობა –



②

## ტყემალზე!

## თუ დააპირებს, რა გზით შეეცდება საქართველოს ხელისუფლება ოქტომბრის არჩევნების ჩაშლას? ④



## ნულოვანი ტოლერანტობით – წინ, დიქტატურისკენ!



ანუ როდესაც ხელისუფლების სიტყვა სხვაა, საქმე კი სხვა ⑥

## ბიძინა ივანიშვილი:

## ხელისუფლებას ყველაფრის

ბანკ „ქართუს“ პრეზიდენტ ნოდარ ჯავახიშვილისთვისაც ბანკის აქციების დაყადაღების გადაწყვეტილება გაუგებარია, რადგან ბიძინა ივანიშვილი არ ფლობს არც ერთ პროცენტ აქციას ბანკ „ქართუში“.




③

## დაყადაღება შეუძლია

## ვიცოდეთ, რას მივირთმევთ!



⑦

## მერიას საბიუჯეტო რესურსის ხარჯვაში ადანაშაულებენ ⑤

## „მეოცნებეებთან“ ერთად „ნაცებიც“ დააპატიმრეს ②

## სიტყვა — სხვაა, საქმე — სხვა

# მთელი მოსახლეობა — ტყემალზე!



**სააკაშვილის სიტყვა და საქმე ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ციყვი და ჰიპოპოტამი. პრეზიდენტმა საარჩევნოდ დაპირებებს უმატა, მაგრამ მათი შესრულებისთვის თავსაც არავინ იწუხებს, ან რატომ უნდა შეიწუხოს, როცა ნებისმიერი დაპირება იმთავითვე შეუსრულებელია.**

ყველას ახსოვს როგორ აპირებდა სააკაშვილი თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე ვენახის გაშენებას. ახლა კი გაირკვა, რომ პრეზიდენტის ინიციატივის ბედი ამ დრომდე გაურკვეველია. ამ რამდენიმე თვის წინათ სააკაშვილმა თბილისის ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას ბრძანება გასცა, რომ უშუალოდ აეროპორტთან ზვარი გაეშენებინათ. ამისათვის დედაქალაქის მერიას აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა გამოეყო მიწა, სადაც ვენახი გაშენდებოდა.

სააკაშვილს, ალბათ, ჰგონია, რომ მისი სიტყვის კვალდაკვალ ყველაფერი ელვის უსწრაფესად გვარდება. ამიტომ, ქვეყნის მთავარი მევენახე (პრეზიდენტი ხომ ყვარლის მამულში თავად უვლის ვაზს და შხამ-ქიმიკატებით შეწამვლასაც არ თაკილობსძ, ალბათ, უკვე დღეებს ითვლის, თუ როდის გასინჯავს აეროპორტის მახლობლად მოყვანილი ყურძნისგან მიღებულ ღვინოს.

არადა, მიწა, რომელზედაც ვენახი უნდა გაშენდეს, ამ ეტაპზე გამოყოფილი არ არის. სოფლის მეურნეობის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ამ ინიციატივით კერძო სექტორის დაინტერესება უნდა მოხდეს და მოიძებნონ ფერმერები, რომლებიც აეროპორტის ტერიტორიაზე ვენახის გაშენებას ისურვებენ.

ვინძლო სააკაშვილს ისიც ჰგონია, რომ თავისი უაზრო ბრძანების საფუძველზე, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტის პირველადი მიწოდებისას 18%-იანი დღგ-ს მოხსნას ითვალისწნებდა, ქვეყანაში ხილ-ბოსტნეულ-რძე-ხორცეული გაიაფდა, ხოლო გლეხები იმდენად გაოცებული არიან რეალიზაციის მასშტაბებით, რომ მუხლჩაუხრელად შრომობენ მოსავლიანობის სწრაფი ტემპით გასაზრდელად. რეალობა კი ისაა, რომ წლეულს მოსავლიანობის მაჩვენებელი კიდევ შემცირებულია, ხოლო გაიაფებაზე ლაპარკი, უბრალოდ, სასაცილოა!

ყველას ახსოვს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დღგ-გან გათავისუფლება რაოდენ დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა. ასეთი სასიხარულო ამბის გლეხებისთვის შეტყობინება, დაახლოებით, ერთი თვე ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო.

საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან 2012 მარტიდან გათავისუფლდა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა გოროზიამ სოფელ-სოფელ იარეს და გლეხებს ეს „სასიხარულო“ ამბავი პირადად აუწყეს. გლეხების დიდმა ნაწილმა, მართალია, ვერ გაიგო, რისგან გათავისუფლდა, მაგრამ პიარი ისეთი შთამბეჭდავი იყო, რომ ისინი მოსავალს დიდი იმედით დაელოდნენ.

ახლა ვითარება ამგვარია, სოფლის მეურნეობის ასალორძინებლად სააკაშვილისა და გოროზიას ძალისხმევას რა შედეგები მოჰყვა, ეს სამინისტროს უკვე აღარ აინტერესებს, ხოლო, ვინაიდან პროდუქტი არ გაიაფებულა, შესაბამისად, გლეხებისთვის არც რეალიზაციის მაჩვენებელი გაზრდილა, თუმცა რამდენიმე რაიონში ამბობენ, რომ მათ გასაყიდი აღარაფერი აქვთ.

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების დღგ-სგან გათავისუფლების მიუხედავად, პროდუქციის გაიაფებაზე ვერ საუბრობენ უმსხვილესი საკონსერვო საწარმოებშიც. საკონსერვო საწარმო „დიკოში“ ფასების შემცირებას ვერ პროგნოზირებენ.

კომპანიის გენერალური დირექტორი რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ აღნიშნული ინიციატივა დადებითი ბიძგია საბოლოო პროდუქტის გაიაფებისთვის, თუმცა საკონსერვო საწარმო მაინც რჩება დღგ-ს გადამხდელად და ფასების მკვეთრი დაცემა მოსალოდნელი არ არის. მისივე თქმით, ნედლეულის შეძენა ივლისი-აგვისტოს თვეში ხდება და კონკრეტული პროგნოზების გაკეთება გვიან ზაფხულში იქნება შესაძლებელი.

საბოლოო პროდუქტის გაიაფების ტენდენციას ვერც საკონსერვო წარმოება „ბაზში“ ხედავენ. საწარმოს გენერალური დირექტორის მოადგილე აცხადებს, რომ კომპანია დამატებითი ღირებულების გადასახადს მაინც იხდის და მხოლოდ ნედლი პროდუქციის დღგ-სგან განთავისუფლება საბოლოო ნაწარმს ვერ გააიაფებს. მისივე ინფორმაციით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სოფლის მეურნეობის ნედლი პროდუქციიდან მხოლოდ ტყემალზე დაიკლო ფასმა, ხოლო პროდუქტების უმრავლესობის ღირებულება უცვლელია.

რადგანაც იაფი მხოლოდ ტყემალია, ხელისუფლების მორიგი რჩევა იქნება, გადავიდეთ ტყემალზე ან საერთოდ გავიდეთ ტყემალზე და ვიჯდეთ იქ მინიმუმ 2014 წლამდე...

**ეკა ბაქრაძე**

## ინფორმაცია

### „ქართულ ოცნებას“ მილიონებს ედავებიან

**თბილისის საქალაქო სასამართლომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალ პოლიტიკურ პარტიებს 2 383 097 ლარის ჯარიმა დააკისრა.**

**როგორც „ქართული ოცნების“ იურისტმა ალექსანდრე ბარამიძემ განაცხადა, მოსამართლემ სხდომაზე კონტროლის პალატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.**

**„ქართული ოცნების“ ადვოკატები საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან და 48 საათის ვადაში სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.**

**კონტროლის პალატამ „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური სუბიექტები სამართალდამრღვევებად ცნო და ადმინისტრაციული საქმის მასალები შემდგომი განხილვის მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაუგზავნა.**

**როგორც კონტროლის პალატის 25 ივნისის განცხადებაშია ნათქვამი, შპს „მენეჯმენტ სერვისმა“ საკუთარი სახსრებით დაიქირავა და 476 614,51 ლარის სარემონტო სამუშაოები ჩაატარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ კოალიცია „ქართული ოცნების“ საოფისე ფართებში, რომლითაც დღემდე სარგებლობენ პოლიტიკური სუბიექტები — საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები — „რესპუბლიკური პარტია“, „ეროვნული ფორუმი“, „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები“, „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, „კონსერვატიული პარტია“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.**

**ინტერპრესნიუსი**

## ინფორმაცია

### „მეოცნებეებთან“ ერთად „ნაცებიც“ დააპატიმრეს

**გორის რაიონის სოფელ მერეთში ინციდენტის დროს დაკავებულ ოთხ პირს გორის რაიონულმა სასამართლომ 10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსჯა. როგორც კორესპონდენტი იუწყება, ოთხი დაკავებულიდან ორი — დავით ბზიშვილი და ალექსი კიკოლაშვილი „ქართული ოცნების„ აქტივისტები არიან, ხოლო ლაშა ჭიღლაძე და ალექსანდრე ოდიშვილი, როგორც „ქართულ ოცნების“ ადგილობრივ ოფისში ამბობენ, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისიტები.**

**მოსამართლე დავით პაპუაშვილმა ოთხივე მათგანს 166-ე მუხლით ხულიგნობის ბრალდება წაუყენა, ალექსი კიკოლაშვილს კი 166-ე მუხლის გარდა, ბრალი 173-ე მუხლითაც წაუყენეს. რამდენიმესაათიანი პროცესის შემდეგ მოსამართლემ ოთხივე მათგანს 10 დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.**

**კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრ ირაკლი სესიაშვილს პოლიციელის მოსყიდვის მცდელობის ფაქტზე დაკავებული ზურაბ ფიფიასა და ირაკლი პერტენავას ფარულ ჩანაწერებში გაკეთებული განცხადებები გარკვეულ ეჭვებს უჩენს.**

**— ესაა პოლიციელის მოსყიდვის მცდელობის ბრალდებით დაკავების მეორე სერია, რადგან პირველი სერია არ არსებობს და ის შეთითხნილი იყო. არ გამოვრიცხავ, რომ ახალი სერია პირველის გასამყარებლად და იმის შთაბეჭდილების შესაქმნელად სჭირდებათ, რომ პირველიც მართალი იყო. წინასწარი განცხადებებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს ყველაფერი არის მიზანმიმართულად პროვოცირებული, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.**

**ამასთან, კოალიციის საინიციატივო ჯგუფის წევრი არ გამორიცხავს, რომ პოლიციელის მოსყიდვის მცდელობის ბრალდებით დაკავების „მეორე სერია“ უშუალოდ მის წინააღმდეგ იყოს მიმართული.**

**ინტერპრესნიუსი**

## მრგვალი მაგიდა

# ნანა ჯაფარიძე: ჩვენ ჟურნალისტებისგან პირუთვნელ სიტყვას ველოდებით

**„მასმედიის ორი სახე და ორმაგი სტანდარტები“, — ასე ერქვა მრგვალ მაგიდას, რომელიც საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“ ოფისში ერეკლე მეორის საზოგადოების ორგანიზებით გაიმართა. მრგვალი მაგიდის მხარდამჭერი იყო საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალი.**

**დისკუსიაში მონაწილეობდნენ ქართული პრესის წარმომადგენლები.**

ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარემ არჩილ ჭყოიძემ აღნიშნა, რომ ბოლო 10-15 წელია, საქართველოში მასმედია აღარ არის თავისუფალი — ტელევიზიები და გაზეთები რეალურად რომელიმე პოლიტიკური მხარის მხარდამჭერად იქცნენ.

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის დირექტორმა ნანა ჯაფარიძემ ვრცელ გამოსვლაში ხაზი გაუსვა საგანგაშო სიტუაციას საზოგადოების გახლეჩა-გაყოფის თვალსაზრისით. **„მასმედია არის ხელისუფლების მე-4 შტო და დღეს იმდენად დიდი საფრთხის წინაშე დგას, რომ შესაძლებელია მთლიანად საზოგადოებას შეუქმნას საფრთხე. როდესაც მოიკოჭლებს აღმასრულებელი, საკანონმდებლო თუ სასამართლო ხელისუფლება, ამან კატასტროფა შესაძლოა, არ გამოიწვიოს, მაგრამ როდესაც მასმედია იხლიჩება, ანდა არაპროფესიონალიზმია მოძალებული, ეს საზოგადოებისთვის ძალზე საშიში და სახიფათოა“,** — განაცხადა ნანა ჯაფარიძემ.

ნანა ჯაფარიძის თქმით, როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდვური მასმედიის საშუალებები მკაფიოდ გაიყო ორ ნაწილად — შავად და თეთრად. აღარ დარჩა შუალედური საშუალება, რომელიც ორივე მხარის სიტყვას მოისმენს, ანდა იმათსას, ვინც მათ შუაშია. ხომ არ შეიძლება ყველა ადამიანი ან მკვეთრად დადებითად, ან მკვეთრად უარყოფითად იყოს განწყობილი რომელიმე მხარის მიმართ? არსებობენ ძალები, ადამიანები, საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელთაც კითხვის ნიშნები აქვთ როგორც ხელისუფლების, ასევე — ოპოზიციის მიმართ. სწორედ ასეთი ძალაა ერეკლე მეორის საზოგადოება. ჩვენ მას მხარს ვუჭერთ“, — განაცხადა ნანა ჯაფარიძემ.

მისი თქმით, საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალმა საკუთარ ზურგზე იწვნია ქართული მასმედიის ორი სახეც და ორმაგი სტანდარტიც. ფილიალის დამფუძნებლის, ბატონ ალექსანდრე ებრალიძის თაოსნობითა და დაფინანსებით ხორციელდება პროექტი — ისტორიულ-ლიტერატურული პრემია დავით აღმაშენებელი.



**„უამრავი სირთულე გადავლახეთ, რომ როგორმე დაგვეცვა ის ადამიანები, რომელთაც სრულიად ღირსეულად მიიღეს ეს პრემია მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაცამ დირიჟორის ჯოხი აიქნია ყველა იმ ლაურეატის გასაშავებლად, ვინც კი აიღებს დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიას“.**

ნანა ჯაფარიძის თქმით, ნაცვლად იმისა, რომ მასმედიამ დააკვალიანოს საზოგადოება და თეთრი და შავი დაანახვოს, იგივე ოპოზიციური მასმედიის საშუალებები ტენდენციურად აშუქებენ მოვლენებს.

**„ჩვენ ველოდებით ჟურნალისტებისგან პირუთვნელ სიტყვას, რომ დაგვეხმარონ შავის და თეთრის გარჩევაში. თუ ჟურნალისტმა ეს არ გააკეთა, დამერწმუნეთ, რომ ასეთ საზოგადოებას მომავალი არა აქვს“.**

ნანა ჯაფარიძე არ გამორიცხავს მოახლოებული არჩევნების წინ მღელვარებას — თუ 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები სიების გამო ჩაიშალა, და ეს გახდა საბაბი, დღეს მასმედიის საშუალებებს შორის ხდება ძალიან დიდი დაპირისპირება და პოლარიზება. **„ამ დაპირისპირებამ წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დროს შეიძლება ისეთი ქვედა დინებები გამოიწვიოს, რომელიც შემდგომ ძალიან დიდ მღელვარებაში გადაიზარდოს და დიდი საფრთხის — საზოგადოების დაპირისპირების წინაშე დავდგეთ“.**

ნანა ჯაფარიძე ვითარებიდან გამოსავალს ჟურნალისტთა თავყრილობაში და აზრის ურთიერთგაცვლაში ხედავს. მისი იდეაა, ოპოზიციაშიც და ხელისუფლებაშიც გამოიძებნონ გონიერი ადამიანები, რომლებიც ჟურნალისტთა დაცვის ლიგას ან ფონდს შექმნიან, რათა ჟურნალისტებს, რომლებიც პატიოსნებისა და მორალის ფარგლებში იმოღვაწებენ, ხელი არ შეეშალოთ და მათი უფლებები დაცულ იქნას.

**ნატა ნიბლაძე**

ვითარება

## ბიძინა ივანიშვილი:

# ხელისუფლებას ყველაფრის დაყადაღება შეუძლია




**„ხელისუფლებას ყველაფრის დაყადაღება შეუძლია, რამდენადაც კანონს აღარ იცავს და გადასულია სხვა სივრცეში, წითელ ხაზს იქით“,** – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტების საპასუხოდ, რომლებიც დაინტერესდნენ, კონკრეტულად მის რომელ ქონებას ემუქრებოდა დაყადაღება.

**მართლაც, ბიძინა ივანიშვილის მოლოდინი ახდა და აღსრულების ეროვნულმა ბიურომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2012 წლის 20 ივნისს გაცემული სააღსრულებო ფურცლების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაადო აქციების 100%-ს „ქართუ ჯგუფში“, აქციების 100%-ს სს „ქართუ ბანკში“, ხოლო აქციების 21.7%-ს „პროგრეს ბანკში“.**

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატები „ქართული ოცნების“ ლიდერის მიერ აქციების ფლობას მხოლოდ „პროგრეს ბანკში“ ადასტურებენ, თუმცა ამის მიუხედავად, აღმასრულებლებმა აქციები ყველგან დააყადაღეს.

**For.ge**-სთან საუბარში ადვოკატი არჩილ კბილაშვილი აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი „პროგრეს ბანკში“ მართლაც ფლობდა აქციების გარკვეულ რაოდენობას, რის გამოც, კანონის გადასახედიდან, იქ მისი წილების დაყადაღება გასაგები იქნებოდა. თუმცა „ქართუ ბანკში“ ივანიშვილის სახელზე აქციები არ ირიცხება და ბანკის აქციათა 100% სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფს“ ეკუთვნის, რომელსაც რამდენიმე უცხოური კომპანია ფლობს.

ამდენად, ადვოკატს აღსრულების ბიუროს გადაწყვეტილების შესაჩერებლად სამართლებრივ გზად ესახება, რომ უკანონო დაყადაღებების გამო სასამართლოს მიმართონ იმ პირებმა, რომლებიც ბანკ „ქართუსა“ და „ქართუ ჯგუფის“ მესაკუთრეები არიან და არა ბიძინა ივანიშვილმა. სწორედ ამ ადამიანებმა უნდა მოითხოვონ საკუთარი ქონების ყადაღისგან გათავისუფლება.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ეს უწყება აგრძელებს სააღსრულებო საქმის წარმოებას ბიძინა ივანიშვილის საქმესთან დაკავშირებით და სწორედ ამ სააღსრულებო წარმოების პროცესში განხორციელდა ბიძინა ივანიშვილის სახელზე რიცხული ქონების მოძიება.

მეტიც, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ თურმე წერილობით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს სს „ბანკი ქართუსა“ და სს „პროგრეს ბანკის“ ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობასთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ სს „ბანკი ქართუს“ აქციების 100%-ს ფლობს სს „ქართუ ჯგუფი“, რომლის აქციების 100%-ის და აგრეთვე სს „პროგრეს ბანკის“ აქციების 21.7%-ის მესაკუთრეა ბიძინა ივანიშვილი.

შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტებით, ბიძინა ივანიშვილი სს „ბანკი ქართუს“ აქციების 100%-ისა და სს „პროგრეს ბანკის“ აქციების 21.7%-ის ბენეფიციარ მესაკუთრეს. ვინაიდან საქართველოს ეროვნულ ბანკში არ ყოფილა წარმოდგენილი დეკლარაცია სს „ბანკი ქართუს“ ბენეფიციარი მესაკუთრის ცვლილების მიზნით, სს „ბანკი ქართუს“ აქციების 100%-ის ბენეფიციარ მესაკუთრედ კვლავაც რჩება ბიძინა ივანიშვილი.

აღსრულების ბიუროში განმარტავენ, რომ აქციათა დაყადაღება არ აბრკოლებს ზემოთ აღნიშნული ბანკების ჩვეულ საქმიანობას და მოვალის მიერ თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, აქციებზე დადებული ყადაღა ავტომატურად უქმდება.

ცნობისთვის, კონტროლის პალატის ორი ოქმის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბიძინა ივანიშვილი ჯამში 148 650 131 ლარით დაჯარიმდა. ეს გადაწყვეტილებები ივანიშვილის ადვოკატებმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს, რომელმაც ჯარიმები შეამცირა და მათი რაოდენობა 74 325 065 ლარით განისაზღვრა.

რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ დაყადაღებული ქონება ივანიშვილისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობას ხუთმაგად, ათმაგად და შესაძლოა, უფრო მეტადაც აღემატება და რაციონალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. მეტიც, ხიდაშელის თქმით, ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაში არც „ქართუ ჯგუფის“ და არც „ქართუ ბანკის“ ანგარიშები არ შედიოდა.

ბანკ „ქართუს“ პრეზიდენტ ნოდარ ჯავახიშვილისთვისაც ბანკის აქციების დაყადაღების გადაწყვეტილება გაუგებარია, რადგან ბიძინა ივანიშვილი არ ფლობს არც ერთ პროცენტ აქციას ბანკ „ქართუში“.

**Forge**-სთან საუბარში ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი ადვოკატი სანდრო ბარამიძე ადასტურებს, რომ ბიძინა ივანიშვილი მართლაც ფლობს აქციების 21, 7 %-ს „პროგრეს ბანკში“, ხოლო არ ფლობს არც ერთ წილს „ქართუ ბანკში“, ასევე, აქციების არც ერთ პროცენტს არ ფლობს „ქართუ ჯგუფში“, იგი, ასევე, არ არის ბენეფიციარი მესაკუთრე და, ამდენად, მისთვის გაუგებარია, რა დააყადაღა სააღსრულებო ბიურომ?!

სანდრო ბარამიძის თქმით, „ქართუ ჯგუფი“ და „ქართუ ჯგუფის“ მფლობელი კომპანიები, ალბათ, იჩივლებენ ამასთან დაკავშირებით, თუკი სააღსრულებო ბიურო რეალურად დაიწყებს მოქმედებას ამ აქციებთან დაკავშირებით.

**„აღნიშნული კომპანიები, რომლებიც ფლობენ აქციებს, ალბათ, მიმართავენ სამართლებრივ ზომებს და შესაბამის სარჩელებს შეიტანენ. ივანიშვილს არ აქვს ეს აქციები და იგი ხომ ვერ იჩივლებს?! გარდა ამისა, მომხდართან დაკავშირებით, ვაპირებთ საქმის კურსში ჩავაყენოთ უცხოელი დიპლომატები“,** – გვითხრა სანდრო ბარამიძემ.

როგორც ადვოკატი არჩილ კბილაშვილი **For.ge**-სთან კომენტირებისას განმარტავს, ბანკ „ქართუს“ აქციების დაყადაღება პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და სამართალთან კავშირი არ აქვს. ამდენად, ადვოკატის, აზრით, გადაწყვეტილება რეალურად მიღებულია არა აღსრულების სამსახურის, არამედ ხელისუფლების მიერ. ასევეა, „ქართუ ჯგუფის“ შემთხვევაშიც, რომელთა მესაკუთრეებიც უცხოური კომპანიები არიან.

**„ეს ადამიანები სასამართლოს მიმართავენ, მაგრამ ამას არანაირი შედეგი არ მოჰყვება და სასამართლო მაინც იმას გადაწყვეტს, რაც ხელისუფლების ნება-სურვილი იქნება. ამიტომ, სამართლებრივად ისევ სტრასბურგის გზა დარჩება, ხოლო პოლიტიკურად ეს არის დისკრიმინაციის მცდელობა“,** – აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

აქვე ადვოკატი ვერ აკონკრეტებს, თუ როგორ შეხვდა ბიძინა ივანიშვილი აქციების დაყადაღებას, რადგან ამჟამად თბილისში არ იმყოფება და არც ბიძინა ივანიშვილთან უსაუბრია, მაგრამ პირადად მისთვის, როგორც ადვოკატისთვის, ხელისუფლების ეს უკანონობა სიურპრიზი არ ყოფილა.

ადვოკატი შალვა თადუმაძე კი განმარტავს, რომ ეროვნულმა ბანკმა აღსრულების ბიურო შეცდომაში შეიყვანა, რადგან „კომერციული ბანკების შესახებ კანონი“ ბიძინა ივანიშვილზე არ უნდა გავრცელებულიყო, რადგან იგი „ქართუ ბანკის“ ბენეფიციარი მესაკუთრე იყო და არა – წილის მყიდველი. ამდენად, „კომერციული ბანკების შესახებ კანონის“ რეგულაცია წილის შემძენ პირზე ვრცელდება. ადვოკატის თქმით, ის, რაც ეროვნულმა ბანკმა გააკეთა, დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, რადგან შეცდომაში შეიყვანა სააღსრულებო ბიურო და მესამე პირის ქონებაზე მოახდინა აღსრულება.

**შალვა თადუმაძის თქმით, 2012 წლის ბენეფიციარი მესაკუთრე უტა ივანიშვილია, რადგან მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში აქტიურად ჩართვა გადაწყვიტა, აღნიშნული მესაკუთრეობის უფლება საკუთარ შვილს გადააბარა.**

მარიამ ლოლაშვილი



განსჯა

# თუ დააპირებს, რა გზით შეეცდება საქართველოს ხელისუფლება ოქტომბრის არჩევნების ჩაშლას?



**ექსპერტები ეჭვობენ, რომ საქართველოს ხელისუფლება ოქტომბრის არჩევნების ჩაშლას ყველანაირი გზით შეეცდება. სწორედ ამ კონტექსტში გაისმა აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივნის სტანისლავ ლაკობას განცხადება, რომ ოფიციალური თბილისი აფხაზეთში დესტაბილიზაციის შექმნით ოქტომბრის არჩევნების ჩაშლას შეეცდება.**

ლაკობას განმარტებით, თბილისში, ქუთაისსა და ოზურგეთში ხალხმრავალმა აქციებმა და ძალაუფლების დაკარგვის პერსპექტივამ საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებით შეაშინა. ამიტომ, ლაკობას აზრით, გამორიცხული არ არის, სააკაშვილი და მისი გარემოცვა სიტუაციის დაძაბვას შეეცადონ და აფხაზი თუ რუსი ჯარისკაცების პროვოცირება მოახდინონ. რუსეთიდან მომდინარე საფრთხით კი საქართველოს მთავრობა ყურადღების გადატანას მოახერხებს, რაც მას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების, ოპოზიციონერების მიმართ რეპრესიებისა და, საბოლოოდ, არჩევნების ჩაშლის საშუალებას მისცემს.

**„ეს ყველაფერი მიმართული იქნება არა უშუალოდ აფხაზეთის, არამედ - პოლიტიკური ოპონენტების მიმართ“,** — აცხადებს ლაკობა.

რამდენად შედის საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში მაინცდამაინც აფხაზეთში დესტაბილიზაციის მოწყობა, ძნელი სათქმელია, თუმცა **For.ge**-სთან საუბარში პოლიტიკური ექსპერტები ოქტომბრის არჩევნების ჩასაშლელად სხვა ვერსიებს არ გამორიცხავენ.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე აფხაზეთში არა, მაგრამ შიდა ქართლში სიტუაციის შესაძლო დაძაბვაზე ამახვილებს ყურადღებას.

მისი თქმით, შესაძლოა, მოპირდაპირე მხარის პროვოცირება ყველაზე უფრო მომგებიანი იყოს ქართული მხარისთვის, მაგრამ გამორიცხული არაა, მოგვიანებით უკონტროლო სიტუაცია შეიქმნას და საქართველოს ხელისუფლებამ სიტუაცია საერთოდ ვერ გააკონტროლოს. ამის დასტურად კი ექსპერტს 2008 წელი მოჰყავს.

**„ბუნებრივია, არ გამოვრიცხავ, საქართველოს ხელისუფლებამ, ერთი მხრივ, საზოგადოების ყურადღების გადატანა მოინდომოს სხვა თემაზე და, მეორე მხრივ, პატარა პროვოკაცია მოაწყოს ამ მიზნით. ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ხელისუფლების ამოცანა შეიძლება უცბად გახდეს არჩევნების ჩაშლა ან გადაწევა. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ხელისუფლებისთვის უფრო მომგებიანია შიდა ქართლში აქტივობა. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის გეგმებში ისედაც შედის გარკვეული სამხედრო ქმედებები სამხრეთ კავკასიაში ირანის კრიზისის გართულების კონტექსტში. ამიტომ შეიძლება, სულაც არ იყოს საჭირო საქართველოს ხელისუფლების აქტივობა“.**

დაემთხვევა თუ არა ერთმანეთს რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების პოზიციები საქართველოს ტერიტორიაზე დაძაბულობის პროვოცირების კუთხით, ამის შესახებ მამუკა არეშიძე განმარტავს, რომ, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით რაღაცაზე ფიქრობს და დაძაბულობა გამოსარიცხი არაა.

**„სააკაშვილის ნათქვამი რიგაში იმის თაობაზე, რომ ოქტომბერში რუსეთიდან საქართველოზე შეტევას ელოდება, იმის მანიშნებელია, რომ ხელისუფლება ამ მიმართულებით ფიქრობს. თუმცა საინტერესოა, როგორ ახსნას უძებნის ხელისუფლება მაინცდამაინც ოქტომბერში რუსეთიდან დაგეგმილ პროვოკაციას. კერძოდ, სამთავრობო ჯგუფის წარმომადგენლები ლაპარაკობენ, რომ ოქტომბერში შეტევა მოსალოდნელია იმიტომ, რომ ზუსტად სექტემბერში იწყება მანევრები და ერთ თვეს გრძელდება, რისი შედეგიც შეიძლება იყოს ოქტომბერში საქართველოში შემოჭრა“.**

თუმცა მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ პირადად მან სულ სხვაგვარად გაიგო პრეზიდენტის ნათქვამი. კერძოდ, რომ საქართველოში ოქტომბერში ჩატარდება არჩევნები, რომელიც გაყალბდება, ხალხი ქუჩაში გამოვა, დაიწყება რეპრესიები და ვითომ ამ ხალხის დასახმარებლად საქართველოში შემოვა რუსის ჯარი.

მისი თქმით, საბოლოო ჯამში, როგორც რუსეთის ინტერესებსა და გეგმებში შედის სერიოზული მიზეზის შექმნა იმისთვის, რომ სამხრეთ კავკასიაში (არა მხოლოდ საქართველოშიძ ლაშქრობა წამოიწყონ, ისე საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში შედის, რომ, გარკვეულწილად, პატარა პროვოკაცია მოაწყონ, რომელიც კონტროლირებადი იქნება იმისთვის, რომ არჩევნები ან ჩაშალონ, ან ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანონ.

გაყვება თუ არა ქართული ჯარი ნდობის მანდატდაკარგულ საქართველოს ხელისუფლებას საომარი პროვოკაციის შემთხვევაში, ამის თქმა მამუკა არეშიძეს უჭირს, თუმცა აცხადებს, რომ ამ ტიპის პროვოკაციები ყოველთვის საფრთხილოა, რათა სიტუაცია უკონტროლო არ გახდეს.

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი ადასტურებს, რომ, „ნაციონალური მოძრაობის“ დღევანდელი ოცნება არშემდგარი არჩევნებია. თუმცა, ეს მარტივად მისაღწევი მიზანი არ არის.

**„ცალკე პუტინს ვაბრალებთ, რომ ზუსტად ჩვენი არჩევნების წინ წვრთნებს იწყებს კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეს, რითაც ისარგებლებს ჩვენი ხელისუფლება, რომ დაძაბოს სიტუაცია და გადადოს არჩევნები. ახლა ბატონი ლაკობაც დამფრთხალა და ამავე თემაზე საუბრობს. ჩვენს ხელისუფლებას ვერავინ ვერ დაუდგება გარანტად. მათი ავადმყოფური ფანტაზია იმდენად მძვინვარებს, არჩევნების დაწყებამდე სამი-ოთხი დღით ადრე რა მოუვათ თავში, ანალიზს არ ექვემდებარება და მხოლოდ გულთმისნის დონეზეა“.**

შეძლებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება ხალხის მობილიზებას, ამის შესახებ სოსო ცისკარიშვილი გვპასუხობს:

**„ვის უნდა გაყვეს ხალხი, გასაყოლი არაფერია. თუ სროლის ატეხვა მოინდომეს, არავინ არსად არ წაყვება, ასეთი შემთხვევებისთვის არსებობს სახელმწიფო ძალები და, ცხადია, ისინი მობილიზებულნი იქნებიან. გაყოლა-გამოყოლასა და რეალურ ომზე საუბარი არც არის, საუბარია მხოლოდ მიზეზზე, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების მიზნით. ასეთ პირობებში კი არჩევნები უკვე აღარ იმართება“.**

სოსო ცისკარიშვილის აზრით, ამ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება საკუთარ ცნობიერებასა და საკუთარ პოლიტიკურ კარიერას აირჩევს სამიზნედ და არა მაინცდამაინც აფხაზეთს ან შიდა ქართლს.

ექსპერტ რამაზ საყვარელიძის შეხედულებით, სტანისლავ ლაკობასეული მოდელი საქართველოს სამზარეულოებში ნაჩურჩულევ ვერსიას უფრო წააგავს და, შესაძლოა, ლაკობას განცხადება პრევენციის მიზნით გაკეთდა.

ამასთან, ექსპერტი საყურადღებოდ მიიჩნევს ერთ გარემოებას, რომ ამგვარი განცხადებები გარკვეულ საყრდენს პოულობს არა მარტო ჩვენი ოპოზიციის, არამედ ჩვენი ხელისუფლების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებშიც.

**„გავიხსენოთ, რომ პრეზიდენტი ოქტომბრისთვის რუსეთის მხრიდან საომარი მოქმედებების შესახებ აკეთებდა პროგნოზს. ასეთ საომარ მოქმედებებს საბაბი სჭირდება და, შესაძლოა, აფხაზეთმა საკუთარი თავი ჩათვალოს ასეთ საბაბად. ყოველ შემთხვევაში, აფხაზეთის ეს პოზიცია უფრო წააგავს რუსულ-ქართულ პოლიტიკურ წრეებში მოარულ იმ ტიპის მოდელს, როგორიც ჩვენ ტელევიზიითაც გვაქვს ნანახი, „ქრონიკის“ სახით, და ჯერჯერობით, აქ რაიმე სერიოზულ პროგნოზზე საუბარი არ შეიძლება, ანუ, ლაკობა არც სამხედრო გადაადგილების მოძრაობაზე მიუთითებს, არც სხვა მოტივზე, გარდა ვერსიისა, ვერსია კი უამრავი შეიძლება იყოს“.**

რამდენად უნდა აწყობდეს ჩვენს ხელისუფლებას სიტუაციის დაძაბვა ოქტომბრის არჩევნების ჩაშლის მიზნით, ამის შესახებ რამაზ საყვარელიძეს ასეთი მოსაზრება აქვს, რომ ხელისუფლებისთვის საომარი მოქმედების დაწყება სახიფათოა. მეტიც, ექსპერტის აზრით, ხელისუფლება საღი აზრის დონეზე თუ იმსჯელებს, თავადვე დარწმუნდება, რომ საკმაოდ სუსტი მხარდაჭერა აქვს, რაც ბოლოდროინდელმა მიტინგებმაც დაადასტურა.

**„ამდენად, ჩვენს ხელისუფლებას ასეთი იდეა რომც გაუჩნდეს, ეს მათთვის სახიფათოა. ომის მოშველიებით ძალიან ბევრი ხელისუფალი ცდილობდა შიდა პრობლემების მოგვარებას, მაგრამ, თუ მმართველ გუნდს ქვეყნის შიგნით დაბალი ავტორიტეტი აქვს, მაშინ მის გარშემო ხალხის მობილიზება კი არ მოხდება (რაც, წესისამებრ, ომის დროს ყოველთვის ხდება), არამედ შეიძლება, პირიქითაც მოხდეს და შიდა პროცესებში საპროტესტო მუხტი გაძლიერდეს“,** — განმარტა რამაზ საყვარელიძემ.

**მანანა ნოზაძე**

სამართალი

# გასაჩივრების მსურველებმა უნდა იჩქარონ

**ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ 2012 წლის 1 იანვრამდე მიღებული განაჩენების საფუძველზე, საქართველოში სააპელაციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მომჩივანს 1 ივლისამდე აქვს. მიმდინარე წლის 27 მარტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების მიხედვით, საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა შესაძლებელია იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზეც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა. თუ 1 ივლისამდე ის პირები, რომელთა სასარგებლოდაც სტრასბურგის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, არ მიმართავენ თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, მათი საჩივარი განუხილველი დარჩება, თუმცა ეს დებულება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას არ გამორიცხავს. როგორც ადვოკატი დავით ჯანდიერი ამბობს, ამ ტიპის საქმეებს განეკუთვნება სანდრო გირგვლიანის საქმეც.**

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია შიდა ინსტანციის, ანუ საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნის დაყენება და დაინტერესებულ პირებს გადასინჯვისათვის სააპელაციო სასამართლოსთვის მისამართად ვადა 1 ივლისამდე აქვთ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 27 მარტს შესული ცვლილება ითვალისწინებს სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დარღვევა.

სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი დავით ჯანდიერი რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში არ აკონკრეტებს, გამოიყენებს თუ არა ამ უფლებას და როდის და რა ფორმით მიმართავს სააპელაციო სასამართლოს.

ადვოკატი ლია მუხაშავრია, რომელსაც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოსთან ურთიერთობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, ამბობს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 27 მარტს შესული ცვლილება მცირე ვადას აძლევს საქართველოში სასამართლოსთვის მიმართვის მსურველს და, მეორეც, იმ პირს, რომელმაც ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილების სტრასბურგში გასაჩივრებით აღიდგინა დარღვეული უფლებები, ადგილობრივი სასამართლოებისთვის მიმართვით კვლავ იმავე პროცესის გავლა უწევს და ეს მისთვის დიდი ტვირთი იქნება:

**„მხარე რომ აღიარებულია, რომ კონვენციის დარღვევის მსხვერპლია და კიდევ მხარეს დაეკისროს ისევ წავიდეს სასამართლოში ქვეყნის შიგნით, სადაც ამდენი იარა, მოიარა, მერე წავიდა სტრასბურგში და იქ მოიგო და ახლა კიდევ მხარემ უნდა იაროს, ეს არის ძალიან დიდი ტვირთის დაკისრება მხარისათვის, თანაც ასე მკაცრად შეზღუდულ ვადებში“.**

ლია მუხაშავრიას სიტყვებით, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს უნდა ეცნობოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ამ ცვლილების შესახებ. თუმცა, როგორც საქართველოს წარმომადგენელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ლევან მესხორაძე ამბობს, ცვლილების ამოქმედება საპროცესო კოდექსში ისედაც იყო გათვალისწინებული, თუმცა გაცილებით გვიან. მისივე სიტყვებით, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი და სტრასბურგის სასამართლოს აღსრულების დეპარტამენტი ცვლილების შესახებ ინფორმირებულია და მათი მხრიდან ცვლილებამ მოწონებაც კი დაიმსახურა. მესხორაძის სიტყვებით, საპროცესო კოდექსის ამ დებულების მოქმედება კანონმდებლობის დახვეწით და ევროპულ კონვენციებთან შესაბამისობაში მოყვანით არის მოტივირებული, რაც, საბოლოოდ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ეფექტიანობას გაზრდის.

**ნინო ხარაძე,**
**რადიო „თავისუფლება“**

# მექსიკის G-20 სამიტი და მისი შედეგები



**მესამე ვადით შემობრუნებულ პუტინს მსოფლიოს ლიდერთა კლუბში ახალი სახეები დახვდა — სხვაგვარი შეხედულებებით, საკითხებისადმი სხვაგვარი მიდგომით. კლუბს გამოაკლდნენ პუტინისთვის მისაღები ლიდერები სარკოზი და ბერლუსკონი. პუტინის დებიუტი, როგორც ჩანს, არცთუ იოლი გამოდგა მისთვის, რაც მოკლედ გამოხატა ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვის — ვისთან წავიდოდა დაზვერვაში, პასუხში. პასუხი კი იყო მოკლე და გულწრფელი — არავისთან. მართალია, ამ მოკლე პასუხს მან შემდეგ ვრცელი მოაყოლა — მე დაზვერვაში რახანია არ ვმუშაობო, მაგრამ გამგებმა გაიგო. პუტინი, როგორც ჩანს, არც ერთი მათგანით მოხიბლული არ არის.**

მავანი შემედავება პუტინისადმი ესოდენი ყურადღების გამოჩენისთვის, მაგრამ რა გაეწყობა, სააკაშვილის წყალობით, ისე ვართ გაკვეხებული ორ გიგანტს შორის, როგორც კვახი ლობეში. სააკაშვილსა და მის ნაცებს უნდა ვუმადლოდეთ იმ ნერვიულ სტრესს, რასაც იწვევს ორთა დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. დიახ, საქართველოს და არა სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ.

ამერიკა-რუსეთს შორის შექმნილი აზრთა სხვაობა, თუნდაც რბილი კონფრონტაცია, მძიმედ ირეკლება ჩვენზე. რაც შეეხება სააკაშვილს — ის ლაღობს, მისთვის ვაშინგტონ-მოსკოვის დაძაბულობა მხოლოდ სიხარულია, ანუ ანტირუსული პოლიტიკის კიდევ ერთი აღიარება, მისი პერმანენტულობა და, აქედან გამომდინარე, საკუთარი ლიდერობის პერმანენტულობა. რომ იტყვიან, რაც ცუდი, მით უკეთესიო, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

**პრესკონფერენციაზე პუტინმა მოკლედ, მაგრამ გადამჭრელად თქვა, რომ აშშ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემას მაინც განალაგებს, მიუხედავად იმისა, ობამა იქნება თეთრ სახლში თუ სხვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკული მხარე არ იზიარებს რუსეთის შეშფოთებას. მას თავისი საქმის გაკეთება აქვს გადაწყვეტილი და ამაში რუსეთი ხელს ვერ შეუშლის.**

რუსეთს ისღა რჩება, ვერბალური მუქარიდან გადავიდეს რეალურ ქმედებაზე, ანუ სისტემის საწინააღმდეგო რაკეტების შექმნაზე, ახალი თავდაცვითი იარაღის მშენებლობაზე, საერთაშორისო არენაზე საკუთარი პოზიციების უფრო მტკიცედ დაცვაზე, ანტიამერიკული პროპაგანდის გაშლაზე და სხვა ისეთ ქმედებაზე, რომელიც დამახასიათებელი იყო „ცივი ომის“ პერიოდისთვის.

არის თუ არა ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა რუსეთისთვის საფრთხის შემცველი? ეს კითხვა არაერთხელ დასმულა როგორც რუსეთში, ისე სხვაგან. ამერიკელთა განმარტებით, სისტემისთვის მთავარია ირანის არარსებული რაკეტების ნეიტრალიზება. რუსეთი ამ მოსაზრებას არ იზიარებს და თვლის, რომ ასეთი სისტემის შექმნა არა ირანის, არამედ რუსეთის რაკეტების განეიტრალების მომასწავებელი იქნება. და თუ ეს მოხდება, მაშინ სხვა ამერიკული რაკეტები იოლად შეძლებენ რუსული არსენალის განადგურებას.

რაკეტსაწინააღმდეგო სისტემამ აშშ-რუსეთს შორის ერთობ დაძაბული ურთიერთდამოკიდებულება შექმნა, რაც მექსიკის G-20 სამიტის დროსაც დამტკიცდა. სამიტის ფარგლებში გამართულმა ორსაათიანმა საუბარმა ობამა-პუტინს შორის დიდი ვერაფერი შედეგი მოიტანა. მსოფლიო მიჩვეულია ამერიკა-რუსეთის, მანამდე საბჭოთა კავშირის ვერბალურ დაპირისპირებას და ამდენად დღევანდელ, გაციებულ ურთიერთობებში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს.

ცხადია, საგანგაშოდ შეიძლება არც ეს შეხვედრა მივიჩნიოთ, მაგრამ ქვეყნებს შორის ურთიერთობათა ბარომეტრი სწორედ პირველ პირთა კონსტრუქციული თანამშრომლობაა, რასაც სამწუხაროდ ამჯერად ადგილი არ აქვს. პუტინის პრეზიდენტად დაბრუნებამ მნიშვნელოვნად აწეწა აშშ-ის ადმინისტრაციის გეგმები, ეჭვქვეშ დააყენა ობამასეული პროექტი — „გადატვირთვა“.

**ობამას პარტნიორად პუტინზე მეტად მედვედევი აწყობდა და ამდენად თავს უფლებას აძლევდა, გამოეხატა თავისი პოზიციები, რასაც არ შეიძლება არ მოჰყოლოდა პუტინის გულგრილობა აშშ-ს ადმინისტრაციის მიმართ. ობამასთვის მედვედევი არ ყოფილა კერკეტი კაკალი, მაგრამ პუტინი არათუ კერკეტი კაკალია, არამედ ძნელად დასაყოლიებელიც ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ჯეკსონ-ვენიკის ყბადაღებული თემა და არანაკლებ გაზვიადებული მაგნიტსკის საკითხი, ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის დაყენება, სირიის, საქართველოს, ირანის თემები და სხვა.**

ის, რაც პრესისთვის გახდა ცნობილი — ყველა ჩამოთვლილ საკითხში მკვეთრად განსხვავებული პოზიციები აქვს ორივე მხარეს. ობამა თვლის, რომ ბაშარ ასადის წაუსვლელად სირიის საკითხი არ მოგვარდება. პუტინი კი მიიჩნევს, რომ არც ერთი ქვეყანა არ უნდა წყვეტდეს სხვა ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის საკითხს.

ობამას ადმინისტრაციამ ბევრი იღონა, რომ პუტინი არ გაპრეზიდენტებულიყო, თუმცა ამაოდ. რუსეთში აგორებულ საპროტესტო, ანტიპუტინურ გამოსვლებში პუტინი აშშ-ს ადანაშაულებს, მიიჩნევს რა სახელმწიფო დეპარტამენტს პირველ ამბოხებლად. საწინააღმდეგო დამოკიდებულება აქვს პუტინს მაგნიტსკის საქმესთან დაკავშირებით, ანუ თვლის, რომ ეს საკითხი თითიდან არის გამოწოვილი და კარგს არ მოუტანს ორი ქვეყნის ურთიერთობას.

როგორც ჩანს, მხარეები ძველ პოზიციაზე დარჩნენ, ანუ არ მოხდა შეთანხმება, თუნდაც დროებითი, ამოსასუნთქი. არც G-20-ს ორდღიანი სამიტი იყო პროდუქტიული. ეკონომიკური კრიზისის ამოხსნის გასაღები არც ევროპაშია და არც ამერიკაში. ოცი ქვეყნის ლიდერები და მათი გუნდები ავტომატურად მიჰყვებიან დინებას და ნაცვლად გადამჭრელი ზომების მიღებისა, პატარ-პატარა პრობლემების მოგვარებით იიმედებენ თავს.

G-20 ვერაფერი საიმედო უთხრა მსოფლიოს საფინანსო-ეკონომიკური ვითარების გამოსწორებასთან დაკავშირებით, ვერც ობამა-პუტინის შეხვედრამ მოიტანა შედეგი.

სააკაშვილსა და მის გუნდს მტკიცედ სჯერა, რომ თუ ანტისარაკეტო სისტემის კომპონენტი გამოჩნდება ქვეყანაში, საქართველოს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, რაც ცხადია, მცდარი აზრია. მიუხედავად სააკაშვილის ხვეწნა-მუდარისა, ვეჭვობ, რომ აშშ-მა სისტემის რაღაც ნაწილი საქართველოში განალაგოს. მაგრამ თუ ეს მოხდა, საქართველო რუსეთის ბირთვული თავდასხმის სამიზნე გახდება, რაც არცთუ დამამშვიდებელი პერსპექტივაა.

მექსიკის შეხვედრა ნაკლებშედეგიანი აღმოჩნდა, რაც განაპირობა როგორც სუბიექტურმა, ისე ობიექტურმა მოვლენებმა. გავიხსენოთ პუტინის არ წასვლა კემპ-დევიდში და ობამას საპასუხო უარი ვლადივოსტოკს, გავიხსენოთ ობამას გადაჩურჩულება მედვედევისთვის, რომელიც რესპუბლიკელთა სერიოზული კრიტიკის საგანი გახდა და ობამას ქვეყნის ღალატში დადანაშაულებით დასრულდა. ჩურჩულის შინაარსი კი ასეთი იყო — უთხარი ვლადიმერს, რომ მოვილაპარაკებთ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებთან დაკავშირებითო. მაგრამ შედგა მოლაპარაკება და — არაფერი!

გადაჩურჩულებასა და მექსიკას შორის იყო აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის რომნის მკაცრი ანტიობამური განცხადება, რამაც, როგორც ჩანს, ვითარება კარდინალურად შეცვალა. პრეზიდენტობის მარათონში ჩართული ობამასთვის თითო ქულასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მის დადებით გადახრას რუსეთისკენ, შეიძლება ბევრი ქულის დაკარგვა მოჰყვეს, რაც ობამასათვის წაგების ტოლფასი იქნება, მით უმეტეს საშინაო საქმეებში ობამას პოლიტიკა წარუმატებელია.

ამერიკისთვის დიდი რამ არის 8.3-პროცენტიანი უმუშევრობა, ეკონომიკური ჩავარდნები და სხვა. რომნი თვლის, რომ რუსეთი არის ამერიკის ნომერ პირველი მტერი და თუ ის გახდება პრეზიდენტი, სწორედ მტრობიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბებს აშშ-ის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში.

**იქნებ ის, რაც მექსიკაში მოხდა, სულაც პოლიტიკური სპექტაკლის დემონსტრირებაა, ისეთის, რომელმაც ხელი შეიძლება შეუწყოს ობამას მეორედ მოსვლას, ვიდრე აგრესიული რომნის გაპრეზიდენტებას? დიდ პოლიტიკაში მსგავსი პოლიტიკური მანევრები არაერთხელ მომხდარა. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ამჯერად სწორედ ამასთან გვაქვს საქმე და არა „ცივი ომის“ აღორძინებასთან.**

ახლა კი თვალი შევავლოთ რესპუბლიკელთა ბანაკს, მათ ლიდერებს და პოლიტიკას, რითიც ისინი აპირებენ თეთრი სახლის დაპყრობას. რესპუბლიკელთაგან საპრეზიდენტო ბრძოლისთვის ფავორიტი გახდა მიტ რომნი. ტეხასის შტატში ჩატარებული პრაიმარისის შედეგად მან საპრეზიდენტო ნომინაციისთვის 1144 დელეგატის ხმა დააგროვა და რესპუბლიკელთა ბანაკში პირველობა გაინაღდა. ჯერი რესპუბლიკელთა ყრილობაზეა, რომელიც აგვისტოში ჩატარდება და თუ რაღაც სასწაული არ მოხდა, დაასახელებს რომნის კანდიდატურას პრეზიდენტობისათვის ბრძოლაში.

ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა რესპუბლიკელთა კანდიდატებს შორის პაექრობა. გასული წლის აგვისტოს ტეხასის შტატის გუბერნატორის რიკ პერის საპრეზიდენტო მარათონში გამოჩენამ დიდი იმედი შესძინა რესპუბლიკელებს. გამოცდილმა პოლიტიკოსმა, კონსერვატორი რესპუბლიკელების კლასიკურმა წარმომადგენელმა უმალ მიიპყრო ყურადღება. ის გამოდიოდა გადასახადების გაზრდის, ერთსქესა ქორწინების და აბორტის წინააღმდეგ და სხვა. მაგრამ ეროვნულ სცენაზე პერიმ დატოვა ერთობ პროვინციული შთაბეჭდილება, რასაც მოჰყვა ქულების კარგვა და საბოლოოდ კანდიდატურის მოხსნა.

რესპუბლიკელთა იმედი ვერც კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ყოფილმა სპიკერმა ნიუტ გინგრიჩმა გაამართლა და ვერც პენსილვანიის ყოფილმა სენატორმა რიკ სანტორუმმა. ეს უკანასკნელი ყველაზე ახლოს მივიდა ლიდერ რომნისთან. სანტორუმის გეგმებმა აბორტების გაუქმებასთან დაკავშირებით ან გაპრეზიდენტების შემთხვევაში ირანზე თავდასხმის თაობაზე, დიდი ენთუზიაზმი არ გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ყოფილმა სენატორმა თითქმის ბოლომდე იბრძოლა და ბოლოს იძულებული შეიქნა, მიეტოვებინა პრაიმარისი.

აშშ-ში ჩამოყალიბდა ერთობ გასაოცარი ვითარება: ერთი მხრივ, ამერიკული საზოგადოება აშკარად იხრება ობამას შეცვლისკენ. რას არ უწოდებენ მას — „კომუნისტს“, „ფაშისტს“, „არალეგალ პრეზიდენტს“. ობამას ოპონენტები დღესაც გაჰყვირიან, რომ ობამა არ არის ამერიკაში დაბადებული. ერთ-ერთი მთავარი ბრალდება ისაა, რომ ობამა რბილია. სენატორი მაკკეინი ხშირად ამბობს, რომ ობამა ჯეროვნად ვერ აფასებს, თუ რა მძლავრი ქვეყნის პრეზიდენტია, სწორედ ამიტომ მუდმივად იხდის ბოდიშს საერთაშორისო არენაზე.

**„ობამა შესანიშნავი ორატორია, მაგრამ ცუდი პრეზიდენტი, ვისაც მე ოდესმე ვიცნობდი. ის სისტემატურად თავს არიდებს პრობლემების ახსნას, რომელსაც ხალხი საჭიროებს, ვერ ამყარებს საზოგადოებასთან კონტაქტებს, ვერ უხსნის მას საკუთარ მიღწევებს“.** ეს სიტყვები „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ანალიტიკოსს თომას ფრიდმანს ეკუთვნის.

კონსერვატორი რესპუბლიკელები ბევრს შეეცადნენ, რათა ობამას წინააღმდეგ ძლიერი და მათთვის მისაღები ფიგურა დაეყენებინათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ მოახერხეს.

ორ კანდიდატს შორის მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება დიდი განსხვავების აღმოჩენა. 50 წლის აფრო-ამერიკელი ობამა, ზომიერი ლიბერალ-დემოკრატი, არის შერეული ოჯახის შვილი, თანაც არცთუ წარმატებულის. მუშაობდა სენატში და არის ამერიკის პრეზიდენტი.

64 წლის რომნი არის მორმონი, ზომიერი კონსერვატორი. ის წარმატებულ ოჯახში დაიბადა, თანაც შეძლებულში. არის ბიზნესმენი. მას აღმასრულებელ ორგანოში მუშაობის მხოლოდ 4 წლის სტაჟი აქვს.

ორივეს დამთავრებული აქვს პრესტიჟული ჰარვარდის უნივერსიტეტი, ორივეს შეუძლია ინფორმაციის გაანალიზება და სწრაფი გადაწყვეტილების მიღება.

ობამას მიერ განხორციელებული ჯანდაცვის რეფორმა, რომლის არსი მილიონობით ამერიკელისთვის სამედიცინო დაზღვევის მინიჭებაა — ოთხი წლით ადრე გაატარა რომნიმ მასაჩუსეტის შტატში.

რომნის კონსერვატორი რესპუბლიკელები მაინც არ მიიჩნევენ თავისად, მაგრამ რა გაეწყობა, ისინი იძულებული არიან, მხარი დაუჭირონ მას.

**რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, რომნი თვლის, რომ ეს ქვეყანა აშშ-ის პირველი მტერია და, აქედან გამომდინარე, შეეცდება საერთაშორისო არენაზე რუსეთის დასუსტებას. რომნი არა მარტო ამერიკული სარაკეტო ფარის განლაგების მომხრეა, არამედ რუსეთის წინააღმდეგ რაკეტების დამიზნების.**

**რომნის არც ირანი ეხატება გულზე და ამბობს, რომ პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში უმალ დაბომბავს ირანის ბირთვულ ობიექტებს. რომნი არც სირიის ხელისუფლების ძალისმიერი გზით შეცვლაზე იტყვის უარს.**

ერთი სიტყვით, რომნის გამარჯვების შემთხვევაში პუტინის თავსატკივარი იზრდება, ხოლო სააკაშვილისა — მცირდება. რომნის სახით სააკაშვილი დიდ მხარდაჭერას იგრძნობს. თუმცა ვინ იცის, როგორ დატრიალდება საერთაშორისო ვითარება. ტრადიციულად რუსეთი გაცილებით იოლად პოულობდა ენას მკაცრი კრიტიკის მატარებელ რესპუბლიკელებთან, ვიდრე დემოკრატებთან. არც ახლაა გამორიცხული მსგავსი რამ, თუმცა მანამდე არჩევნებია.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## ⊙ ინფორმაცია

### მერიას საბიუჯეტო რესურსის ხარჯვაში ადანაშაულებენ

**„ქრისტიან-დემოკრატი“ ზაზა გაბუნია თბილისის მერიას საბიუჯეტო რესურსების პრიორიტეტების გარეშე ხარჯვაში ადანაშაულებს.**

თბილისის საკრებულოს „ქრისტიან-დემოკრატმა“ დეპუტატმა ზაზა გაბუნიამ გუშინ თბილისის საკრებულოში ამ საკითხზე ბრიფინგი გამართა. გაბუნიას თქმით, თბილისში არსებული 8 შადრევნის მოვლა-პატრონობისთვის თბილისის მერიამ შპს „დავითს“ 6 თვის სამუშაოებისთვის გამოუყო 113 858 55 ლარი, რაც ძალიან დიდი თანხაა.

— თავად ტენდერი ჩატარდა აბსოლუტურად არაკონკურენტულ გარემოში, რადგან მასში მხოლოდ ერთი, მერიის ფავორიტი კომპანია მონაწილეობდა, რაც ასევე აჩენს კითხვის ნიშნებს, — აცხადებს ზაზა გაბუნია. საკრებულოს დეპუტატის თქმით, თბილისის მერიის ეს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ასი ათასზე მეტი ლარი იხარჯება სრულიად მეათეხარისხოვანი საქმისთვის, შეცდომაა იმ ფონზე, როცა აღნიშნული თანხა შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო სოციალურად დაუცველი და უმწეო მოქალაქეების კეთილდღეობისათვის, ხოლო შადრევნების დასუფთავება დასუფთავების სამსახურისთვის გადაეცა, რომელიც შესაბამის ტექნიკასაც ფლობს და მსხვილბიუჯეტიანი უწყებაა.

ინტერპრესი

ვითარება

# ნულოვანი ტოლერანტობით — წინ, დიქტატურისკენ!

**მიხეილ სააკაშვილმა არჩევნების სამართლიანად ჩატარების გარანტორობა იკისრა, მიხეილ სააკაშვილია იმის გარანტიც, რომ ყველაფერს გააკეთებს „ნაციონალური მოძრაობის“ არჩევნებში გასამარჯვებლად.**

**ჩვენ გვინახავს, როგორია მიხეილ სააკაშვილი, როდესაც ის გამარჯვების (არა ომში) პირობას იძლევა, ყოველი წინასაარჩევნო პერიოდი დაგვამახსოვრდა დარბეული აქციებით, დაპატიმრებული მომიტინგეებით, ზოგიერთ შემთხვევაში გვამებითაც, ხოლო ამ ყველაფრის შემდეგ ჩატარებულ არჩევნებს ძნელია, უწოდო სამართლიანი.**

**გუბერნატორებთან შეხვედრისას სააკაშვილმა განაცხადა, რომ პირადად უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის სამართლიანად ჩატარებას.**

**„ეს არჩევნები თითოეულ ჩვენგანს, ხელისუფლების ყველა საფეხურზე პრეზიდენტის დაწყებული, თითოეული თქვენგანით დამთავრებულს გვავალდებულებს, რომ უპირობოდ, დემოკრატიულობისა და სამართლიანობის პრინციპით უზრუნველყოთ, რომ ის საარჩევნო პროცესი მართლაც სამაგალითო იყოს“,** — განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ ის პირადად უზრუნველყოფს, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეს.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, დღეს გარკვეული ძალები გამოდიან ლოზუნგებით, თითქოს საქართველოში ვინმეს აჩუმებენ და ქვეყანაში არის ავტოკრატია.

**„რა ავტოკრატია, მართლა ხომ არ ბნელა, რომ ღია კარებს ვამტვრევთ. სად არის საქართველოში თავისუფალი აზრის შეზღუდვა? გაქვთ თქვენი აზრი? — გამოთქვით. გინდათ მიტინგის ჩატარება — ჩაატარეთ. გინდათ ვიღაცის გალანძღვა? — მლანძღეთ რამდენიც გინდათ. აბსოლუტური იმუნიტეტი გამოვიმუშავე ყველანაირი შეურაცხყოფის მიმართ. არანაირი პრობლემა არ მაქვს. ყოველთვის ვუსმენ კრიტიკულ აზრს“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

სააკაშვილის ამ განცხადებებიდან ერთი დღის შემდეგ ამომრჩეველთან შესახვედრად მისულ „კოალიცია ქართულ ოცნებას“ მოსახლეობასთან დალაპარაკების საშუალება არ მისცეს, თუმცა სააკაშვილი გვპირდებოდა, რომ პირადად უზრუნველყოფდა, ყველა საარჩევნო ძალას თანაბარი პირობები ჰქონოდა.

შეხლა-შემოხლა მას შემდეგ დაიწყო, რაც გორის რაიონში, სოფელ მერეთში ბიძინა ივანიშვილი მივიდა და ერთ-ერთმა მოქალაქემ მისი სოფელში მისვლა გააპროტესტა.

როგორც „თავისუფალი დემოკრატების“ გორის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი თამაზ შიოშვილი ამბობს, ხელისუფლების წარმომადგენელთა გაღიზიანება, სოფელ მერეთში ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ალასანიასთან შეხვედრაზე მისული მოსახლეობის დიდმა რაოდენობამ გამოიწვია.

**„სოფელ მერეთში დაახლოებით 450-500 კომლი ცხოვრობს. 300 კაცზე მეტი კი შეხვედრაზე იყო გამოსული. აქედან გამომდინარე, „ზონდერ დაჯგუფება“, რომელიც ხელისუფლებამ კუდ-ის და სხვადასხვა გაურკვეველი უწყებების მეშვეობით შექმნა, მოვიდა და პირდაპირ ჩხუბი დაიწყო. სცემეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს“,** — განაცხადა შიოშვილმა.

მისივე განმარტებით, დაპირისპირებაში გორის სამაშველო სამსახურის უფროსი და მისი თანამშრომლები მონაწილეობდნენ და არა ადგილობრივი მოსახლეობა.

**„თავიდან 20 კაცი დაგვახვედრეს, პედაგოგები და 10-მდე ახალგაზრდა იყვნენ. მაგრამ, როდესაც დაინახეს, შეხვედრაზე ზღვა ხალხი იყო მოსული, დაიწყეს რეკვა და გორიდან სამაშველო სამსახური გამოიძახეს, ვითომ ხანძარი ყოფილიყოს“,** — აღნიშნა შიოშვილმა.

„ქართული ოცნების“ ლიდერების შეხვედრა მოსახლეობასთან ჩაიშალა, რადგან პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით ირაკლი ალასანიამ და ბიძინა ივანიშვილმა მერეთი დატოვეს.

„თავისუფალი დემოკრატების“ პრესსამსახურის უფროსის ვაკო ავალიანის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ალასანიას მოსახლეობასთან შეხვედრის ადგილას, სამოქალაქო ფორმაში გადაცმულ კუდის დანაყოფი იყო მობილიზებული და გაღიზიანებაც სწორედ შეხვედრაზე მისულმა მოსახლეობის დიდმა რაოდენობამ გამოიწვია.

**„სამოქალაქო ფორმაში მობილიზებული კუდის დანაყოფი იმ შეძახილებს და ფრაზებს აჟღერებდნენ, რომელსაც ნუგზარ წიკლაური ხშირად ახმოვანებს. სამართალდამცველი უწყების წარმომადგენლებმა შეხვედრაზე ბევრი ხალხის დანახვისას შენაერთი გააძლიერეს და როდესაც ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ალასანია გამოჩნდნენ, ფიზიკური დაპირისპირება დაიწყო. შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რომ ამ სოფლის აბსოლუტური უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ უჭერს მხარს“,** — განაცხადა ავალიანმა.

რაც მთავარია, შემთხვევის ადგილზე პოლიციის თანამშრომლები არ გამოჩენილან. თუმცა, ინციდენტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ კომენტარი გააკეთა. დეტექტივ გიორგი ბუხრაშვილის განცხადებით, პოლიციამ ამოიცნო მომხდარ



ანუ როდესაც ხელისუფლების სიტყვა სხვაა, საქმე კი სხვა

ფაქტში მონაწილე პირები, რომელთა მიმართაც კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება.

ერთი მხრივ, პრეზიდენტის დაპირება ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების ქმედებები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. როგორც „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი ზურაბ აბაშიძე აცხადებს, **„სააკაშვილი ამბობს ერთს, ფიქრობს მეორეს და აკეთებს მესამეს. ხელისუფალი რასაც ფიქრობს, იმას უნდა ამბობდეს და აკეთებდეს, სამწუხაროდ, ჩვენთან ყველაფერი სხვაგვარად არის, სააკაშვილი თავის მომხრეებს და „ზონდერ ჯგუფებს“ აძლევს სრულ უფლებას, რომ მოსახლეობას დაერიონ და ძალადობა გამოიყენონ“.**

ზურაბ აბაშიძე: **„ახლა, მაგალითად, დუშეთის რაიონში ვხვდებით მოსახლეობას, დაგვყვება მანქანა და გვითვალთვალებენ, გვიღებენ. ეს უკვე ჩვეულებრივი პროცესია, მაგრამ ამავდროულად ხალხს აშინებენ რომ არ გამოვიდეს შეხვედრაზე. როდესაც მერეთში დაინახეს, რა რაოდენობის ადამიანები გამოვიდნენ და სააკაშვილს არც ერთი მომხრე არ ჰყავს, გადავიდნენ უკვე ძალადობაზე. მინდა გითხრათ, რომ ეს ყველაფერი ძალიან მალე დასრულდება და ეს დასრულება სწორედ ჩვენს მიზანმიმართულ და გონივრულ სვლებში მდგომარეობს. რაც ხდება, ამაში ჩვენთვის მოულოდნელი არაფერი არ არის, რადგან კარგად გვესმის, რა მოძალადე და მზაკვარ ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე“.**

ამ ყველაფერზე კი, ჯერჯერობით დასავლეთი, ვისთანაც სააკაშვილმა დემოკრატიული არჩევნების პირობა დადო, დუმს. როგორც ექსპერტი რამაზ საყვარელიძე ამბობს, ეს ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილმა შესანიშნავად იცის დასავლელი პარტნიორების ფსიქოლოგია, რომ მათთვის ნათქვამ სიტყვას აქვს მნიშვნელობა და მეტ-ნაკლებად სჯერათ, რომ ეს სიტყვა ასახავს პოლიტიკურ კურსს.

**„ჩემთვის სრულიად გაუგებარია დემოკრატიაზე მზრუნველი დასავლელი პარტნიორების, მეგობრების პოზიცია. თუ ისინი ასე გულუბრყვილოები არიან, რომ ვერ ხვდებიან, რა გამონათქვამის დროს რა პროცესები შეიძლება დაიწყოს. როდესაც იქვე ითქვა ფრაზა, რომ ფაქტობრივად, ნულოვანი ტოლერანტობა პოლიტიკური ოპონენტების მიმართო, თუ ვერ ხვდებიან, ეს რას ნიშნავს, იმ გამოცდილების ხალხი, რომლებსაც მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში უნახავთ ანალოგიური პროცესები, მაშინ მათი ინტელექტის იმედი არ უნდა ჰქონდეს ადამიანს“.**

ძნელი სათქმელია, ჩვენი უცხოელი პარტნიორები არ იმჩნევენ თუ არ სურთ დაინახონ, რეალურად რა ხდება ქვეყანაში, როდესაც „მასთ ქერიზე“ იყო ლაპარაკი, ევროკავშირის ელჩმა ბატონმა დიმიტროვმა შეგვაქო, როდესაც აღნიშნა, რომ საქართველო ევროპის პრაქტიკის გათვალისწინებას აპირებს, თუმცა ის ვინც ბოლო წლებია ქართულ პოლიტიკას ადევნებს თვალს, უნდა ხვდებოდეს, რომ დიდი ხანია, საქართველოს ხელისუფლება ამბობს ერთს და აკეთებს მეორეს.

რამაზ საყვარელიძე: **„ჩემთვის სულერთია, თუ ხედავენ, რომ რაღაც ცუდი ხდება და ამას არ იმჩნევენ, მაშინ კიდევ უარესია. ეს ნიშნავს, რომ დემოკრატიული ქვეყნებიდან წამოსული ჩვენი დასავლელი პარტნიორები ვერ ხვდებიან, რომ ამ შემთხვევაში დემოკრატიის და მათი პოლიტიკის დისკრედიტაცია ხდება. საქართველოში ნელ-ნელა მწიფდება ანტიდასავლური განწყობილება. თუ ეს არის მათი მიზანი, მაშინ მათი იმედი არ უნდა გვქონდეს“.**

გია ხუხაშვილი თვლის, რომ შესაბამისი განცხადებები იქნება, **„თუმცა ვფიქრობ, რომ მათი მხრიდან მეტი აქტიურობაა საჭირო, მათ უნდა ესმოდეთ საკუთარი პასუხისმგებლობა მთელ ამ პროცესებთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ მათ მიერ ზედმეტი შექება ან რაღაცაზე თვალის დახუჭვა იწვევს ხელისუფლების კრიმინალიზაციას პირდაპირი გაგებით. შეიძლება ითქვას, ისინი იქცევიან პატარა ბავშვივით, რომელსაც გასდის, და ყველაფერზე წამსვლელია. ამიტომ, დროა, დასავლეთმა მართლა იგრძნოს პასუხისმდებლობა იმ პროცესზე, რაც ქვეყანაში მიდის. სხვანაირად, როგორც ფასეულობათა სისტემის, ასევე თავისი სტრატეგიული ინტერესების გაგებით, შესაძლოა, საქართველოში შეექმნათ ძალიან სერიოზული პრობლემა“,** — მიიჩნევს გია ხუხაშვილი.

თუ დღეს არსებულ მდგომარეობას გადავხედავთ, როგორც ჩანს, დასავლეთი რეაგირებას არ ჩქარობს, ამასობაში ხელისუფლება ყველა ბერკეტით ცდილობს, პოლიტიკური ოპონენტების ჩაძირვას.

ოპოზიცია, რომელსაც დასავლეთისგან ადეკვატური რეაგირების იმედი ჰქონდა, ფაქტობრივად, საკუთარი თავის იმედადაა დარჩენილი.

**„ეს ყოველთვის ასეა“,** — ამბობს რამაზ საყვარელიძე: **„ქვეყანა ყოველთვის უნდა დარჩეს საკუთარი თავის იმედად და საკუთარ თავში უნდა ეძებოს რესურსები, მაგრამ სამწუხაროა, როდესაც დასავლეთი აღიარებს დემოკრატიულ ღირებულებებს, საზოგადოებაში ჩნდება მოლოდინი, რომ ის ამ ღირებულებებს თუნდაც ლიტონი სიტყვით დაიცავს, მაგრამ სრული სიჩუმეა დასავლეთის მხრიდან. მე ის კი არ მაწუხებს, მხოლოდ რომ ასეთი სიჩუმეა, არამედ ის, რომ ეს სიჩუმე უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს. თუ დასავლეთი იმას ვერ ხვდება, რა არის მის ინტერესებში და რა არა, ეს უფრო სავალალო სურათია, ვინაიდან თუ შენი მეგობარი ვერ ხვდება რა არის მისთვისვე სასარგებლო, ძალიან ძნელია მასთან ურთიერთობა“.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო პერიოდში მსოფლიოში სიტუაცია მეტისმეტად დაძაბულია, შესაძლოა, დასავლეთს ქართული არჩევნებისთვის არც კი ეცალოს, თუმცა რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ ამერიკამ ძალიან ბევრჯერ დაუშვა ინტელექტუალური შეცდომები დიდ პოლიტიკაში, **„მასშტაბურ მოვლენებს ვიტყვი მხოლოდ — მან დაკარგა ირანი, კუბა და კიდევ ბევრი ქვეყანა, დაკარგა აღმოსავლეთის კეთილგანწყობა და ა.შ. ძალიან ცოტა ქვეყანაა, სადაც ისე ხვდებიან დასავლეთს, როგორც საქართველოში. ამერიკელების მიმართ ყველგან მაქსიმალურად უარყოფითი დამოკიდებულებაა. დღეს უკვე ცხადი ხდება, რატომ არის ასეთი დამოკიდებულება, იმიტომ, რომ ამერიკელები სამწუხაროდ, ვერ ხვდებიან, სხვა ქვეყნებში როგორ უნდა მოიქცნენ და რა იქნება მათთვის უფრო სასარგებლო“,** — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

როგორც ჩანს, დასავლეთის მხარდაჭერის იმედი საქართველოს ნაკლებად უნდა ჰქონდეს და ოპოზიციასა და საზოგადოებას მოუწევს საკუთარი ძალებით გაუმკლავდეს იმას, რასაც ხელისუფლება მოიმოქმედებს.

რამაზ საყვარელიძე: **„ფორმულა უკვე ნათქვამია ხელისუფლების მიერ — ნულოვანი ტოლერანტობა. ეტყობა, იქნება ბრძოლა დაუნდობელი მეთოდებით, სპორტის სახეობა რომ არის ბრძოლა წესების გარეშე, ასეთ ბრძოლასთან გვექნება საქმე. არ ვიცი, როგორ ააგებს სტრატეგიას მეორე მხარე, მაგრამ ცხადია, ქვეყანას კარგს არაფერს არ უქადის ამ სტილზე პოლიტიკური პროცესების გადაყვანა“.**

გია ხუხაშვილი: **„ვფიქრობ, იმდენი რაღაც ხდება საქართველოში, რომ მგონია, არ არიან ჩამოყალიბებულები. ერთი მხრივ, ხელისუფლება ყველა კუთხეში საუბრობს კონკურენტულ გარემოზე და ვფიქრობ, დასავლეთს არ უნდა ხელისუფლებას თავისი გაუფრთხილებელი რეაქციებით კიდევ უფრო უბიძგოს ავტორიტარულ სისტემად ჩამოყალიბებისკენ.**

**ხელისუფლებაში უკან დასახევი გზა არ არის, ისინი პერიოდულად აშანტაჟებენ დასავლეთს და ეუბნებიან, რომ თქვენი მხარდაჭერით თუ უამისოდ, ჩვენ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ, ამიტომ, სჯობს რაღაცებზე თვალი დახუჭოთ. გარკვეულწილად შესაძლოა, დასავლეთი დაბნეულიცაა და არჩეული არ აქვს ის ტონი, რა ტონითაც უნდა ესაუბროს ჩვენს ხელისუფლებას. გაგახსენებთ ცოტა ხნის წინ ბოკერიას მიერ გაკეთებულ განცხადებას, სადაც ის პირდაპირ ამბობს, რომ დასავლეთი არ აინტერესებს, არჩევანი ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს. ეს არის მათი ცინიკური სტილი მაგრამ, ამ ცინიზმშიც არის ერთი დამაფიქრებელი რამ, რომ ეს დასავლეთის მიმართულებით უფრო იყო გაშვებული — რამე რომ იყოს, თქვენც არ შეგეპუებით. დასავლეთი როგორც ჩანს, ჯერ არ არის მზად, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას და არ არის კარგად ჩამოყალიბებული თავის პოლიტიკაში და ასე ვთქვათ, გარდამავალ პირობებში ვიმყოფებით რომელიც, იმედი მაქვს, დიდხანს არ გაგრძელდება“.**

ლალი ზირაქიშვილი

**ადამიანი ცხოველური და მცენარეული საკვები პროდუქტებით იკვებება.**

**კვება ორგანიზმის ენერგიით უზრუნველყოფის ერთადერთი ცნობილი წყაროა.**

კვების პროდუქტების დამზადების თანამედროვე ფორმები და მეთოდები, (ტექნოლოგიები, სულ უფრო იკიდებს ფეხს მთელს მსოფლიოში, ამიტომ საინტერესოა, როგორ დამზადებულ კვების პროდუქტებს მივირთმევთ. ცნობილია, კვების რაციონში შეუცვლელი საკვები ნივთიერებების უკმარისობა ორგანიზმის ცხოველმყოფელობაზე აისახება, კალციუმისა და რკინის ნაკლებობა ცილისა და ნახშირწყლების საკვებში არაზომიერი მიღება ადამიანის ჯანმრთელობას პრობლემებს უჩენს, ამიტომ განვითარებად ქვეყნებში კვების დანამატების სახით დაიწყეს სხვადასხვა პროგრამების განხორციელება (ხელოვნურად დანამატების სახით შეტანაძ. მაგალითად პურის იოდიზირებული მარილით, რკინით გამდიდრება. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი დღეს ამ მეთოდებსაც საკამათოდ მიიჩნევს. ადამიანის ენერგეტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის მნიშვნელოვანია რაციონში როგორც ნახშირწყლების, ასევე ცილების და სხვადასხვა ვიტამინის მიღება, რაც პურს შეუცვლელ პროდუქტად ავლენს. წარმოიდგინეთ, ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩინეთია, სადაც ბრინჯი იყო პირველადი პროდუქტი, ყოველწლიურად იზრდება პურის მოხმარება. ამიტომაც ბევრ ქვეყანაში მას №1 პროდუქტი ეწოდება და ამის გამო იგი მეტად სასარგებლოდ ითვლება, თუმცა ზოგიერთი ექიმი ჭვავისა და შავი ფქვილით დამზადებულ პურს აძლევს უპირატესობას, რაც, ენდოკრინოლოგთა თვალსაზრისით, შაქრით დაავადებულთათვის უფრო მეტად მისაღებია. რადგანაც მსხვილი დაფქვის (ფქვილისძ ფრაქცია კუჭის პერესტალიტიკას ზრდის, თორემ ჩვეულებრივი ჯანმრთელი ადამიანისთვის პური შეუცვლელი საკვებია, რომელიც მრავალ საჭირო ნივთიერებას შეიცავს ადამიანის ორგანიზმისთვის, რაც მთავარია ნახშირწყლებს, რომელიც ორგანიზმს ენერგეტიკული ბალანსის ძირითადი წყაროა.

მომხმარებლამდე კვების პროდუქტების მიწოდება თუ ადრე მხოლოდ სამაცივრო დანადგარებით იყო შესაძლებელი, სავაჭრო სახის შენარჩუნების მიზნით, დღეს ლამაზად შეფუთული მრავალფეროვანი პროდუქტები სხვადასხვა ქვეყანაში დამზადებული ჩვენს სავაჭრო დახლებზე ხვდება, ბევრი დამამზადებელი ხმარობს თანამედროვე ტექნოლოგიაში კვების გამაუმჯობესებლებს, კონსერვანტებს, სხვადასხვა ემულგატორებს, საღებავებს და დანამატებს. ამიტომ ამ თემაზე გარკვეული ინფორმაცია, ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესოა.

დროს ჩაბარდა რაოდენობაზე ზრუნვა, დეფიციტი. წინა პლანზე ხარისხი, პროდუქციის საგემოვნო თვისებებია. ხშირად გაკვირვებას იწვევს, როგორ პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქტები, რადგანაც თუ მათ დამზადებას და შემდგომ შემოტანის პერიოდს გავითვალისწინებთ, მომხმარებლამდე მიწოდებას, სრულიად ლოგიკური კითხვა დაგებადებათ, რის ხარჯზე ინარჩუნებს ეს პროდუქტები სავაჭრო სახეს.

დღეს საკვების დამზადების თანამედროვე ფორმებმა ჩვენ მეწარმეებამდეც მოაღწია. თუმცა ცნობილი ხდება დანამატები და კონსერვანტები, ასევე ემულგატორები (ცხიმისა და წყლის ხელშეწყობითძ, რომლებიც ფართოდ გამოიყენება კვების პროდუქტების დამზადებისას, მეცნიერული კვლევებით გარკვეული დროის შემდგომ უკუეფექტებითაც გამოირჩევიან. ამას ლაბორატორიული კვლევების შესაბამისი ტესტირება ცხადყოფს, რომელიც მრავალ ქვეყანაში ტარდება და შენიშვნები და დასკვნები ვრცელდება განსაკუთრებით კვების საღებავებსა და კონსერვანტებზე. საინტერესო ის გახლავთ, რომ თუ შარშან ესა თუ ის გამაუმჯობესებელი გამოიყენებოდა, წელს ახალი სრულყოფილი კვლევები მეტყველებს, რომ ასეთი დანამატი ამოღებულია მოხმარების ნუსხიდან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ნატურალური დანამატების მოხმარებას და გამოყენებას, რომელიც სრულიად უსაფრთხოა და აუმჯობესებს პროდუქციის საგემოვნო თვისებებს, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ გამაუმჯობესებლებს, რომლებსაც ფართოდ მოიხმარენ და შეფუთვებზე ისინი E ასოთია აღნიშნული. პროდუქციის დამამზადებელი ვალდებულია, თუ ასეთ დანამატს ხმაროფს, აღნიშნოს იგი პროდუქციის შეფუთვაზე და მიუთითოს შესაბამისი კოდი (ასეა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშიძ.

დანამატის თემის პირველი ცდები საქართველოში 1990 წ. დაიწყო, როდესაც პრეტენზიები გაჩნდა უხარისხო ხორბლისაგან დამზადებულ ფქვილზე. ისრაელის გამაუმჯობესებლების ფირმიდან მოწვიეს სპეცილისტები. მათი ცდები უმნიშვნელო შედეგით აღინიშნა. საერთოდ ცნობილია, რომ პირველი გამაუმჯობესებელი ძველთაგან მარილი გახლავთ. თუმცა აქაც აუცილებელია ვიცოდეთ მისი მოხმარების ნორმები.

1999-2000 წლებში საქართველოში დაიწყო შემოსვლა დანამატების ცნობილმა ფირმებმა: ბელგიურმა „პურატოსმა“, ავსტრიულმა „ბალკადარინმა“, მოგვიანებით – გერმანულმა „ირექსმა“. ვერც ხარისხით ვერც შინაარსით ნატურალურ და კლასიკური წესით დამზადებულ პროდუქციას წინ ვერაფერი დაუდგება. მხოლოდ ენერგომატარებლების გაძვირებამ და ეკონომიკურმა სიტუაციამ აიძულა ბევრი მეწარმე მაინც გადასულიყო ინტენსიურ (ანუ დაჩქარებულძ მეთოდებზე სწორედ სხვადასხვა გამაუმჯობესებლებისა და ემულგატორების გამოყენებით, სამწუხაროდ ჩვენში ბევრმა არაპროფესიონალმაც მიჰყო ხელი კვების პროდუქტების დამზადებას.

# ვიცოდეთ, რას მივირთმევთ!



მაგალითად: ასეთი მარტივ რამ, როგორც საფუარის გადამეტებული ნორმა, რასაც ნებისმიერ თონეში შეხვდები, იწვევს გულძმარვასა და კუჭლორწოვანის გაღიზიანებას, თუ ცომი სრულყოფილ ფერმენტაციას არ გაივლის, მასში არ დასრულდება სრულყოფილი ფერმენტაცია (გაფუება და სტრუქტურის ჩამოყალიბებაძ. მოგიყვანთ მაგალითს. 1 გრ საფუარში 2 მილიონი უჯრედია. კლასიკური წესით შეშაზე მომუშავე თონეებში ცომს წინა დღით დააყენებდნენ (ხაშებს ამზადებდნენძ დამჟავებული ცომით. მეორე დღეს შეშით გაახურებდნენ თონეს და შემდეგ აცხობდნენ „დედას პურს“. ბევრმა იცის თქმა, სად დაიკარგა პურის ძველი სურნელიო. პასუხი მოკლეა: მთელ პროცესს, 1 საათში რომ ატევენ, სწორედ იქ.

აქვე დავძენ: არ შეიძლება ყველა თანამედროვე ფორმა და მეთოდი უარვყოთ. საჭიროა ვიცოდეთ, აღჭურვილი ვიყოთ შესაბამისი ცოდნით, თუნდაც გამოცდილებით. მაგალითად ფირმა „პურატოს“ დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს, როგორც ღვინის დამამზადებელი ქვეყნის მიმართ. მათი გამაუმჯობესებლები ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და უძველეს მეთოდებზეა დაფუძნებული – მზადდება ღვინის ქვისგან (ლექიძ, რომელიც მუშავდება და შესანიშნავი დანამატია როგორც ცომში, აგრეთვე კრემებსა და ნაყინებზე, ისინი ამ ლექს ყიდულობენ იტალიაში, ესპანეთსა და საფრანგეთში. სამაგიეროდ ასეთი დანამატები ძვირად ღირებულია, რაც პროდუქციის თვითღირებულებას ზრდის, სამაგიეროდ ხელს უწყობს გაიზარდოს საქონლის სავაჭრო დროის იმგვარად ზრდას, რომ პროდუქტის ვარგისიანობა არ შეიბღალოს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეწევიან მის ექსპორტს, გარდა ამისა, ბრიუსელში ჩადიან ამ ფირმაში სასწავლებლად.

მაგალითისთვის, შეფუთული პროდუქციის დამამზადებლები ვალდებულები არიან, თუ ტექნოლოგიაში დანამატებს იყენებენ, თავის პროდუქციაზე E ასოთი აღნიშნონ, რომელი დანამატია გამოყენებული. აუცილებელია მითითებული იყოს კოდი.

ბევრი დამეთანხმება, რომ პურს, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, უჩნდება ეგრეთ წოდებული „კარტოფილის დაავადება“. ეს დაავადება განსაკუთრებით თავს იჩენს ტენიან, ცხელ გარემოში. ეს ჩხირი ხორბალს მოსდევს მიწიდან, მიკროორგანიზმი ცოცხლობს ცომში და თქვენ წარმოიდგინეთ 200-300 გრადუსსაც უძლებს. მეცნიერები ბევრს ფიქრობდნენ ამაზე. დღეს არსებობს ავსტრალიური პრეპარატი „ფადონა“, რომელიც თავიდან აგვაშორებს პურის ასეთ დაავადებას. თუმცა ძველმა პურის მცხობელებმა იცოდნენ, რომ ასეთი ჩხირი 4-5 გრადუს სიმჟავეზე მარცხდებოდა, 6 გრადუს ზევით კი პური კარგავს სასაქონლო სახეს. ამიტომ ცომის მომზადებისას ზაფხულში სიმჟავეს ოდნავ მაღლა იჭერდნენ, გარდა ამისა, გამოცდილი ხაბაზები ზაფხულობით ძმარს ცომის მომზადებისას ხმარობდნენ.

ბევრ ქვეყანაში, რაც უნდა ცივილიზებული იყოს, პოლიპროპილენის შეფუთვას ზაფხულში არ ახორციელებენ. თითქოს მარტივი პროცესია, ამავე დროს მეტად სათუთი და, დამეთანხმებით, სათანადო ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. ამიტომაცაა ნათქვამი, რომ „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“.

სამწუხაროა, რომ საქართველოში რამდენი წელია აღარ გვაქვს საფუარის ქარხანა. ამასობაში სომხეთსა და აზერბაიჯანში (ერთში – ამერიკული ინვესტიციებით, მეორეში – თურქულითძ შესანიშნავი საწარმოები ამოქმედდა. არადა, იყო დრო, საფუარით მათ თბილისი ამარაგებდა. ჩვენი ხაბაზი მთლიანად თურქეთში მომუშავე ფრანგულ ფირმა „ლესაბლის“ შვილობილმა კომპანიამ ჩაანაცვლა. ზოგიერთი დანამატი აკრძალულია მრავალ ქვეყანაში, რადგანაც ისინი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია, განსაკუთრებით ქიმიური გზით დამზადებული დანამატები იწვევენ ძლიერ ალერგიულ რეაქციებს, აღიზიანებენ კუჭის ლორწოს, აქვთ კარცეროგენული ეფექტი. როგორც მეცნიერები გვაუწყებენ, ისინი იწვევენ მრავალ დაავადებას. ამიტომ უმჯობესია, თავი ავარიდოთ მათზე დამზადებულ პროდუქტს. მაგ. უცხოეთში დღესაც ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დანამატი, ასეთ დანამატებს ძალიან გულმოდგინე კვლევა და დაკვირვება სჭირდება. ამიტომ უბრალო რჩევაა: რაც უფრო ნატურალურ პროდუქტებს დაუთმობთ თქვენს კვებით რაციონს, მით უფრო გაუფრთხილდებით თქვენს ჯანმრთელობას. ჯანსაღი საკვები ჯანმრთელობის მთავარი „გასაღებია“. მეტი დრო და საშუალება დაუთმეთ თქვენს მოყვანილსა და მოწეულს. ამიტომაცაა მთელს მსოფლიოში ნატურალური პროდუქტების პრიორიტეტი.

წარმოგიდგენთ დანამატების ნუსხას და მეცნიერულ შეფასებებს E დანამატებთან დაკავშირებით, რომელიც ინტერნეტში და უცხო პრესაში ინფორმაციის სახით მოგვეწოდება.

თუ რომელიმე კვების პროდუქტზე E კოდს დაინახავთ, დაფიქრდით პროდუქტის შეძენაზე, რადგანაც ისინი აკრძალულია ზოგ ქვეყანაში და არცთუ უსაფუძვლოდ.

**E 102 იწვევს ალერგიულ რეაქციებს.**

**E 103 მეცნიერები ამტკიცებენ, რომ აქვს კარცენოგენული ეფექტი.**

**E 107 გართულებებს იწვევს ასთმიან ადამიანებში.**

**E 110 იწვევს ალერგიულ რეაქციას.**

**E 112 იწვევს ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერაქტივობას.**

**E 129, E 131, E 133, E 142, E 153, E 154, E 155, E 173, E 174, E 175, E 180 – შესაძლებელია გამოიწვიოს ალერგია და კარცეროგენულია.**

**აკრძალულია E დანამატები:**

**E 121 წითელი საღებავი, უმეტესად საკონტ. ნაწ. ალერგიული და ტოქსიკური.**

**E 123 წითელი საღებავი განსაკუთრებით საშიშია ფეხმძიმე ქალებისთვის, მოქმედებს ნაყოფზე.**

**E 128 წითელი საღებავი.**

**E 216, E 217 კონსერვანტები.**

**აკრძალულია E დანამატები, რადგანაც მათი გამოცდა და ტესტირება არ გაუვლიათ, ამიტომ აკრძალულია მათი მოხმარება:**

**E 214, E 215, E 219, უ 226, E 227, E 230, E 231, E 233, E 236, E 237, E 238, E 388, E 389, E 424, E 521.**

**E 537, E 557 კალი ქლორიდი**

**E 635, E 912, E 914 თუთიის სილიკატი**

**E 2916, E 918, E 919 ჟანგ. პოლიეთილენი**

**E 926 ქლორი**

**E 929 ქლორ დიოქსიდი**

**E 952 აცეტონის ზეჟანგი.**

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე

ვერნისაჟი

## „გაელვებული წამიერებისა და ამ წამიერებით ტკბობის ექსპერტი“

**გალერეა „შარდენი“ ცნობილი ქართველი მხატვრის, 1980-იანელთა თაობის ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედის ჯემალ კუხალაშვილის რიგით ოცდამეშვიდე პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშიც (ამერიკა, რუსეთი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია და სხვა) არაერთგზის დამტკბარან მისი ხელოვნებით. მისი თითოეული გამოფენა განსხვავებული და ახლის, ამაღლებულის ძიებითაა დაღდასმული.**

**როგორც ცნობილი კრიტიკოსი დავით ანდრიაძე აღნიშნავს, „ჯემალ კუხალაშვილი მთლიანადაა დახარჯული თავის შემოქმედებაში და მხატვარსაც ამდენადვე ძალუძს ტრივიალობათა, როგორც გოეთესეულ „მშვენიერ წამთა“ შეჩერება, „ნორმალურობის“ რუტინის გარღვევა და უცაბედად ჩამოქროლილ ფანტაზმათა მოხელთება... კუხალა გაელვებული წამიერებისა და ამ წამიერებით ტკბობის ექსპერტია: ისტორიულში – პოეტურის, მყისიერებაში – მარადიულობის ექსპერტი“.**

**ამავე გალერეაში 25 ივნისს მოეწყო მხატვრის ერთი სურათის განხილვა, რომელსაც ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კრიტიკოსებმა, კოლეგებმა, მწერლებმა, ჟურნალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს ამ ნამუშევარს და აღნიშნეს, რომ ასეთი შეხვედრები, რომელიც უკვე ტრადიციად დამკვირდა გალერეა „შარდენში“, ახალგაზრდა შემოქმედთათვის „სამოსწავლო“ და სასიცოცხლოდ აუცილებელია.**

**წლევალნდელი წელი ჯემალ კუხალაშვილის საიუბილეო წელია. იგი კვლავ ახალ გამოფენებს და სიურპრიზებს გვპირდება, ანუ ...„გამოუცხადებელი ღამის გადაღებები გრძელდება“...**

ნანა ჭიჭინაძე

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისმა განაცხადა, რომ გაყინა ივანიშვილის აქტივები

საქართველოს ეროვნულმა აღმასრულებელმა ბიურომ სამშაბათს განაცხადა, რომ გაყინა მილიარდერისა და ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის აქტივების ნაწილი.

უწყების მონაცემებით, გაიყინა ივანიშვილის ყველა აქცია „ქართუ ბანკში“ და „ქართუ ჯგუფში“, აგრეთვე „პროგრეს ბანკში“ მილიარდერის აქციების 21,7 პროცენტი.

აღმასრულებელი ბიურო ასეთ მოქმედებას უკავშირებს სააპელაციო სასამართლოს დადგენილების შესრულებას, რომელმაც აიძულა ივანიშვილი, გადაიხადოს ჯარიმა 45 მილიონი დოლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

„აქციების გაყინვა დაბრკოლებას არ უქმნის აღნიშნული ბანკების ჩვეულებრივ საქმიანობას. ასევე გატყობინებთ, რომ ნებაყოფლობითი გადახდის შემთხვევაში მოვალის მხრიდან აქციების გაყინვა ავტომატურად უქმდება“, – ნათქვამია ეროვნული აღმასრულებელი ბიუროს ცნობაში.

მილიარდერმა, რომელიც სასამართლომ დააჯარიმა უკანონო შემოწირულობისთვის თავისი პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ, ადრე განაცხადა, რომ არ აპირებს ჯარიმის გადახდას.

უკანონო შემოწირულობანი, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, გამოიხატა სათანამგზავრო ანტენების მოსახლეობისთვის დარიგების ფინანსირებაში, რომელიც განახორციელა კომპანია „გლობალ ტვ“-მ და რომელიც პრაქტიკულად აუნაზღაურებლად ემსახურება ავტოსატრანსპორტო პოლიტიკურ პარტიას „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

ივანიშვილი, რომელიც საქართველოს მმართველი პარტიის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ კონკურენტად ითვლება, სასამართლოს გადაწყვეტილებას მიიჩნევს უკანონოდ და პოლიტიკურად მოტივირებულად.

„ვისია აქციები?“

საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებს, რომ „ქართუ ბანკის“ აქციების ასი პროცენტის მფლობელი არის კომპანია „ქართუ ჯგუფი“, რომელიც, როგორც საქართველოს აღმასრულებელი ბიურო მიიჩნევს, მთლიანად ივანიშვილს ეკუთვნის.

მაგრამ ივანიშვილის ადვოკატები აცხადებენ, რომ მილიარდერი არ ფლობს აქციებს „ქართუ ბანკსა“ და ქართუ ჯგუფში“. ეს უკანასკნელი, დამცველების სიტყვებით, ეკუთვნის რამდენიმე უცხოურ კომპანიას.

ამავე დროს ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა ინტერპრესნიუსის სააგენტოს განუცხადა, რომ ივანიშვილი ფლობს „პროგრეს ბანკის“ აქციების ნაწილს.

თავად მილიარდერმა ადრე ჟურნალისტებს უთხრა, რომ მას, სავარაუდოდ, წილი არ დარჩა არც ერთ ქართულ კომპანიაში, თუმცა ის რჩება ქონების მფლობელად რამდენიმე ქალაქში, მათ შორის, საჩხერეში, ბაკურიანსა და ურეკში.

ამავე დროს, ივანიშვილმა არ გამორიცხა, რომ ხელისუფლებას შეუძლია დააყადაღოს ის ქონებაც, რომელიც მის სახელზე არ არის გაფორმებული.

BBC RUSSIAN.com

# თბილისი კასპიის გაზის რუსეთის გვერდის ავლით ევროკავშირისთვის მიწოდების გეგმების შესახებ

საქართველო დაინტერესებულია პროექტის – აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი – განხორციელებით, რომელიც ითვალისწინებს კასპიის რეგიონიდან ბუნებრივი გაზის ევროპაში მიწოდებას ზღვით – რუსეთის გვერდის ავლით. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ უკრაინელ ჟურნალისტებთან ინტერვიუში.



„ყველა სახელმწიფოს, ვინც ამ პროექტში მონაწილეობს, უნარჩუნდება არა მხოლოდ დაინტერესებულობა, არამედ სიმტკიცეც. არა მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ევროპის მომხმარებელ ქვეყნებს, რომლებსაც სჭირდებათ ალტერნატიული წყარო და ენერგოუშემცველების მიღების მარშრუტი“, – აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა.

პროექტის მონაწილეები არიან აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, აგრეთვე კომპანია, რომელიც აერთიანებს უნგრეთსა და რუმინეთგაზს. სავარაუდო გეგმებით, გაზი აზერბაიჯანიდან მიეწოდება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს, სადაც იგი გათხევადდება. შემდეგ თხევადი გაზის ტრანსპორტირება ტანკერებით ზღვების გავლით მოხვდება რუმინეთის ნავსადგურ კონსტანცაში, იქიდან კი, უკვე აღდგენილი გაზის მდგომარეობაში, მიეწოდება უნგრეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებს.

გრიგოლ ვაშაძემ გამოთქვა იმედი, რომ პროექტში ჩაერთვებიან სხვა ქვეყნებიც. „ჯერჯერობით პროექტში მოქმედებენ რუმინეთი და უნგრეთი. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მას შეუერთდებიან ევროპის სხვა სახელმწიფოებიც. შევხედავთ, თუ რა მოხდება აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთის სამიტზე, რომელიც წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი“, – აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ამავე დროს ვაშაძემ ხაზგასმით აღნიშნა მეორე პროექტის – „ნაბუკოს“ მნიშვნელობა, მაგისტრალური გაზსადენისა, რომელიც, ასევე რუსეთის გვერდის ავლით, საქართველოს ტერიტორიის გავლით უზრუნველყოფს გაზის მიწოდებას აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან ევროკავშირის ქვეყნებში. ამავე დროს ვაშაძემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში არსებობს გარკვეული გაურკვევლობა.

„უცნობია, შედგება თუ არა პროექტი საერთოდ, ვინაიდან ყველა ამბობს „დია-დიახ, ნაბუკო იქნება“, მაგრამ მისი რეალიზაცია წლიდან წლამდე გადაიდება ხოლმე“, – აღნიშნა ვაშაძემ და დაუმატა, რომ „ნაბუკოსთან“ შედარებით გაზსადენი აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი „გაცილებით იაფი“ დაჯდება.

შეგახსენებთ, რომ 2010 წელს რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა იწინასწარმეტყველა, რომ პროექტ „ნაბუკოს“ რეალიზაცია დაკავშირებული იქნება მთელ რიგ სირთულეებთან და რომ ეს პროექტი არ არის „სამხრეთის ნაკადის“ კონკურენტი – გაზსადენისა, რომელიც გაივლის შავი ზღვის ფსკერს და რუსეთის გაზს მიაწოდებს ევროპას უკრაინის გვერდის ავლით. როგორც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 4 ივნისს განაცხადა, „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წლის ბოლოს. გაზსადენი ნაწილობრივ ამოქმედდება 2015 წლის დეკემბერში და მთელი სიმძლავრით (63 მილიარდი კუბური მეტრი) – 2018 წელს.

VOANews.com

## დედამიწის ზურგზე

### ბრიტანეთის დედოფალმა ბელფასტში უწესრიგობის პროვოცირება მოახდინა



ქალაქის დასავლეთში დაახლოებით ასმა ახალგაზრდამ პოლიციელებს დაუშინა პეტარდები (თოფის წამლით გატენილი ქაღალდის ჭურვი) და ფეთქებადი ნივთიერებით სავსე ბოთლები. უწესრიგობანი მოხდა ელისაბედ მეორის ვიზიტის დროს ჩრდილოეთ ირლანდიაში. პროტესტის ნიშნად ქალაქის თავზე გამოკიდეს ირლანდიული ტრიკოლორი. ამ დროს დედოფალს მოუწევს, შეხვდეს ტერორისტების ყოფილ ლიდერს, რომლებმაც მისი ახლო ნათესავი მოკლეს.

### ბაშარ ასადმა აღიარა, რომ სირიაში მიმდინარეობს „ნამდვილი ომი ყველა ფრონტზე“

ამავე დროს განცხადებით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიც, რომელმაც განაცხადა, რომ სირიის პრეზიდენტი ხელისუფლებას კარგავს: მისი რეჟიმით უკმაყოფილობათა რიცხვი იზრდება. მაგრამ ამერიკის დაზვერვა გვიხატავს არცთუ ისე სასიამოვნო სურათს ვაშინგტონისთვის: ასადი ინარჩუნებს მომხრეების ძირითად ჯგუფს და არმიის მხარდაჭერას, ოპოზიცია კი გათიშულია და მოქმედებს შეუთანხმებლად.



### „კომერსანტი“: რუსეთი მიაწოდებს „აშშ-ის მტრებს“ შვეულმფრენებს პლატინის სანაცვლოდ, ტანკებს კი კრედიტების ხარჯზე



რუსეთი ემზადება დაიწყოს ზიმბაბვეში პლატინის ერთ-ერთი უდიდესი საბადოს დამუშავება, სანაცვლოდ აფრიკული ქვეყანა, რომლის რეჟიმსაც დასავლეთი დიქტატორულად მიიჩნევს, მიიღებს საბრძოლო შვეულმფრენებს. იარაღის მიწოდება მალე მოსალოდნელია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არამეგობრულ სხვა ქვეყანაშიც. თუმცა იქ რუსეთის ექსპორტს ჰყავს სერიოზული კონკურენტი.

### 13 ქვეყანაში დააპატიმრეს 24 ჰაკერი, რომლებიც ვაჭრობდნენ საკრედიტო ბარათების მოპარული მონაცემებით



ყველა დაპატიმრებული 18-დან 25 წლამდე ასაკის მამაკაცია. ოთხი ყალთაბანდი ჯერჯერობით თავისუფალია. ჰაკერების გაუვნებლობა მოხდა გამოძიების ფედერალური ბიუროს ოპერაციის წყალობით. მისმა აგენტებმა შექმნეს ინტერნეტ-ფორუმი, სადაც დარეგისტრირებულ გამომყენებლებს შეეძლოთ, გაეყიდათ და ეყიდათ ბანკის ინფორმაცია.

### კუბამ გაიწვია ელჩი პარაგვაიდან



ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია პრეზიდენტ ფერნანდო ლუგოს გადაყენების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ხელისუფლებისგან მისმა ჩამოშორებამ გამოიწვია სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ნეგატიური რეაქცია. ადრე რეგიონის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა განაცხადეს თავიანთი ელჩების გაწვევის შესახებ ასუნსიონიდან.

### აშშ-ში ტორნადოს შემდეგ ნახეს გოგონა, რომელიც მკვდარ დედას ყავდა ჩახუტებული



სამი წლის ანა-მარია ტაუნი, რომელიც ტყეში აღმოაჩინეს, გადაიყვანეს ჰოსპიტალში. მას აქვს ნეკნებისა და თეძოს მოტეხილობა. ამჟამად მისი მდგომარეობა სტაბილურია. მისი დედა ბავშვს საკუთარი სხეულით გადაეფარა. როდესაც ჰიზერი ნახეს, იგი ისევ ცოცხალი იყო, თუმცა დედის გადარჩენა ვერ შეძლეს.

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

2012 წლის 1 ივნისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ". აუქციონში გამოცხადებული ობიექტებიდან №8 სალიცენზიო ობიექტზე სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №8 სალიცენზიო ობიექტზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით:

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

[illegible]

ჩოგბურთი

# ჯერჯერობით — 34

**ლონდონის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე თვეც აღარ დარჩა, საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის რაოდენობა კი ოცდათოთხმეტამდე გაიზარდა — ორიოდე დღის წინათ ბრიტანეთის დედაქალაქში ჩამოსვლის უფლება ჩოგბურთელებმა — ანა ტატიშვილმა და მაკა ჩახნაშვილმა მიიღეს.**


ანა ტატიშვილი

ტატიშვილი ამჟამად მსოფლიო რეიტინგით 73-ეა. 22 წლის ჩოგბურთელს ცოტა აკლდებოდა მიზნამდე, რაც, შესაძლოა, უიმბლდონის ტურნირზე შეესრულებინა, მაგრამ მანამდე დაკომპლექტდა ოლიმპიური თამაშების საჩოგბურთო ტურნირის შემადგენლობა და ჩვენებურსაც საერთაშორისო ფედერაციისთვის გამოყოფილი ადგილი შეხვდა. „ველური ბარათით“ დაუშვეს წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეში ანა ტატიშვილი და მაკა ჩახნაშვილიც.

შეგახსენებთ, რომ 1988 წელს სეულის თამაშებში ქართველმა ჩოგბურთელმა ლეილა მესხმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 2004 წელს კი ათენში ირაკლი ლაბაძეს უნდა ესასპარეზა, მაგრამ ხელის ტრავმის გამო თამაში ვერ შეძლო.

ლაშა დიდია


მაკა ჩახნაშვილი

ლიცენზიატი

# გიორგი გოგშელიძე

**პეკინის ოლიმპიადაზე მისგან ოქროს მედალს ელოდნენ. ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ... შეჯიბრების დაწყებამდე ორი დღით ადრე ვარჯიშისას თვალის არეში ტრავმა მიიღო. ამის მიუხედავად, იოლად სძლია ყირგიზ ალექსეი კრუპიანოვსა და ირანელ საედ აბრაჰამის. ნახევარფინალში ყაზახეთის სახელით მოასპარეზე ტაიმურაზ ტიგიევს დაუპირისპირდა. წარმატების მისაღწევად რას არ მიმართა ყოფილმა რუსეთელმა. სხვა ხრიკებით რომ ვერაფერს გახდა, მტკივან თვალში თითი ატაკა. ქართველმა ფალავანმა ეს უკვე ველარ მოითმინა და „ხურდა“ დაუბრუნა მეტოქეს, რაც ძვირად დაუჯდა: გააფრთხილეს და ფინალში იგი ვერ გავიდა. ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ ტაიმურაზი გოგშელიძესთან მისულა და მოუბოდიშებია. ბუნებრივია, ქართველ ფალავანს ამით არაფერი შემატებია. მესამე ადგილისთვის პაექრობაში ჩვენებურმა კუბელ მინელ ბატისტას აჯობა და ოლიმპიური ბრინჯაო მოიპოვა.**

გიორგი გოგშელიძემ თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში გორში დაიწყო გურამ მარგველაშვილისა და ავთანდილ ზაალიშვილის ხელმძღვანელობით. 9 წელიწადი რუსეთში ემზადებოდა ვალერი პერვუხინისა და ჯამბულატ თედეევის მეთვალყურეობით. 2004 წლიდან ნუგზარ სხირელთან იმაღლებს ოსტატობას. მის სპორტულ კოლექციას მრავალი ჯილდო ამშვენებს. ახალგაზრდებში ორ-ორჯერ აქვს მოპოვებული რუსეთის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობა. 1999 წელს შეიარაღებული ძალების მსოფლიო თამაშები მოიგო. უფროსებში სამჯერ რუსეთის ჩემპიონატის ოქროს მედლები დაიმსახურა, 2001 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ევროპის პირველობაზე ვერცხლის მედალს დასჯერდა. ორი წლის შემდეგ მოსკოვში აბსოლუტურ მსოფლიოს ჩემპიონატზე 96 კილოში პირველი ადგილი დაიკავა, სუპერთასის ფინალი კი კუბელ მძიმეწონოსან ალექსის როდრიგესთან დათმო.



საქართველოში დაბრუნების შემდეგ 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე, ევროპაზე კი პირველი იყო და ფილას რჩეულიც გახდა. 2007 წელს კონტინენტის პირველობაზე ბრინჯაოს დასჯერდა, ორი წლის შემდეგ კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. სახელოვან ქართველ ფალავანს ყველაზე სასიამოვნოდ მაინც 2001 წელი აგონდება.

— იმ წელიწადს რუსეთის სახელით ევროპის ჩემპიონატზე ფინალამდე ყველა პაექრობა მოვიგე, გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი ლუკა კურტანიძესთან დავთმე. ეს ერთადერთი მარცხი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად დამატებითი ბარიერები შეექმნათ. კრასნოიარსკში ივან იარიგინის საერთაშორისო ტურნირზე მაჭიდავეს. ეს შეჯიბრება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შესარჩევ ასპარეზობად მიიჩნიეს. კარგად ვიყავი მომზადებული და სირთულეები არ შემქმნია. ყველასთვის მოულოდნელად მთავარ კონკურენტ კურამაგომედოვს ფინალში 21-ე წამზე მოვუგე და ისევ მანდეს ადგილი ნაკრებში. არც მსოფლიოზე შემირცხვენია თავი: ზედიზედ ვძლიე ფავორიტებს — ალირეზა ჰეიდარის და ვადიმ ტასოევს. ოქროსთვის ბულგარელ კოცევს შევხვდი. სულ გაქონილი იყო ის დალოცვილი. გაოფლიანდა თუ არა, ხელს ვერ ვკიდებდი. მსაჯებს ვანიშნე კიდეც, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. წონითაც ჩემზე მძიმე იყო. ამის მიუხედავად, მაინც ვაჯობე და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. სხვა დროსაც მქონდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის შანსი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენე...

ბოლო წლებში 33 წლის ფალავანი ტრავმებმა შეაწუხა, თუმცა მაინც შეძლო ლონდონის თამაშების საგზურის მოპოვება. ახლა ბრიტანეთის დედაქალაქში შეეცდება ოლიმპიური ოცნების ასრულებას.

ვაჟა დანელია

თბილისის „დინამო“

# დიდმელები ჩეხურ და ტყავაძის ეპოქაში დაბრუნდნენ

**დიდმის ბაზაზე შესულმა თავი წალკოტში ამოვყავი — ირგვლივ ყველაფერი ბიბინებს. სადად და გემოვნებით შესრულებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ, რომელსაც მალე სახელოვანი კლუბის მშობლიური „დინამო არენას“ განახლებული სარბიელიც შეემატება, გულშემატკივრებს საოცნებო მხოლოდ საყვარელი გუნდის მიერ ქართულ ფეხბურთში წამყვანი პოზიციების დაბრუნება და ევროტურნირებში წარმატებით გამოსვლა დარჩათ.**

**სწორედ ამ მიზნით განხორციელდა „დინამოში“ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები, წერილის შესავალში ნახსენებ ზღაპრულ გარემოში საპრეზენტაციო პრესკონფერენცია კი კითხვა-პასუხის რეჟიმით დაიწყო.**

**„დინამოს“ პრეზიდენტის რომან ფიფიას, ახალი მთავარი მწვრთნელის, 45 წლის ჩეხი სპეციალისტის უმცროსი დუშან უჰრინისა და დიდომში ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული სპორტული დირექტორის ბუბა ტყავაძის პასუხების ძირითად ნაწილს ქვემოთ გაეცნობით, მანამდე კი გაუწყებთ, რომ იქვე გამართული „თეთრ-ლურჯებისა“ და „ვიტ ჯორჯიას“ სიანტერესო სპარინგი ფრედ — 0:0 დასრულდა.**



**რომან ფიფია:** „დინამოსთვის“ მნიშვნელოვანი დღე დადგა. მსურს, წარმოგიდგინოთ ჩვენი გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი დუშან უჰრინი და სპორტული დირექტორი ბუბა ტყავაძე. ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, ჩემპიონობაა, ეს არის „დინამოს“ სტანდარტი. ჩვენ ძალიან ბევრი კარგი და ძლიერი მეტოქე გვყავს „ზესტაფონის“, „მეტალურგის“, „ტორპედოს“, „დილას“, ზუგდიდის „ბაიასა“ და „ვიტ ჯორჯიას“ სახით. მიმაჩნია, რომ „დინამო“ ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოდეს. ჩვენ გუნდის შენებას ვაგრძელებთ, „დინამოს“ მალე ექნება საკუთარი აკადემია, საიდანაც პირველი გუნდი მიიღებს შევსებას. ჩვენი მიზანი საბოლოოდ ქართული ფეხბურთის განვითარებაა. ბუნებრივია, ქართული ფეხბურთის აღმავლობა სწორად ახალი თაობის ფეხბურთელებით უნდა დაიწყოს. მე იმედი მაქვს, რომ დუშან უჰრინთან და ბუბა ტყავაძესთან ერთად ჩვენი გუნდი მომავალ სეზონში ჩემპიონობას მოიპოვებს.

**დუშან უჰრინი:** „დინამო“ დიდი გუნდია. მოხარული ვარ, რომ ასეთი მდიდარი ისტორიის გუნდში მომიწევს მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობა. მამაჩემისგან ბევრი მსმენია „დინამოზე“, მას საკმაოდ დიდი მიღწევები აქვს „დინამოში“. აქ ჩამოსული გაოცებული დავრჩი ინფრასტრუქტურითა და შექმნილი პირობებით, მე გათავისებული მაქვს, რომ ყველა წარმატების მოლოდინშია. ჩვენგან ყველა შედეგიან ფეხბურთს და ჩემპიონობას მოელის, საამისოდ კი ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. სპორტულ დირექტორთან ერთობლივი კონსულტაციის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას, თუ ვინ დარჩება და ვინ დატოვებს გუნდს. ვიმედოვნებ, ძლიერ გუნდს გავაკეთებთ. თბილისი კარგი ქალაქია, საქართველოში შესანიშნავი ხალხი ცხოვრობს. გუნდს ლამაზი ბაზა და საშინაო არენა აქვს. იმედი მაქვს, ერთად, დიდ წარმატებას მივაღწევთ.

**ბუბა ტყავაძე:** მიხარია, რომ ისევ „დინამოს“ ბაზაზე ვხვდებით ერთმანეთს. იცით, რომ ეს ჩემთვის ნაცნობი გარემოა. დღეს მე ვხედავ, რომ ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ გუნდმა მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კლუბის პრეზიდენტს, ბატონ რომან ფიფიას, რომ მე კვლავ „დინამოსთვის“ მომიწევს მოღვაწეობა — ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ „დინამო“ არის ქართული ფეხბურთის ფლაგმანი. ყველას კარგად მოეხსენება, რომ მე ერთი წელი „დინამოდან“ შორს ვიყავი, თუმცა გულით მაინც „დინამოს“ ვატარებდი. რაც შეეხება ფეხბურთელებსა და სატრანსფერო პოლიტიკას, გეტყვით, რომ ყველამ, ვინც დღეს გუნდშია, მომავალში შესაძლოა „დინამოს“ მაისურით ვერ ითამაშოს. გუნდის მთავარი მწვრთნელი მოსამზადებელ ეტაპზე მათ შესაძლებლობებს გაეცნობა და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას — ვინ დარჩება და ვინ წავა. რაც შეეხება ლეგიონერებს, ვფიქრობ, რომ მათი გუნდში ყოფნა აუცილებელია. მომხრე ვარ, რომ მაღალი კლასისა და პროფესიონალი ლეგიონერების გვერდით ითამაშონ ადგილობრივმა ახალგაზრდებმა, რომლებიც გამოცდილებას მიიღებენ და მომავალში მაღალ დონეზე იასპარეზებენ. იმ ფეხბურთელებს, რომლებიც გუნდში დარჩებიან და „დინამოს“ მაისურით განაგრძობენ თამაშს, მსურს, წარმატება ვუსურვო. მათგან ჩვენ ბრძოლისუნარიან და შედეგზე ორიენტირებულ თამაშს მოვითხოვთ. ჩვენს მთავარ მწვრთნელს „დინამოში“ საუკეთესო წლებს ვუსურვებ.

გიორგი შოთაძე

მხატვრული ტანვარჯიში

# ფაჟავას ესპანური პოკერი



**ელენა ვიტრიჩენკო, მხატვრულ ტანვარჯიშში უკრაინელი მსოფლიოს ჩემპიონი, რამდენიმე წელიწადია ესპანეთში ცხოვრობს. წლეულს მან მესამედ ჩაატარა საერთაშორისო ტურნირი „ვიტქაფი“, რომელშიც 10 ქვეყნის 130-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.** 1997 წელს დაბადებულთა ტურნირში საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდა სახელოვანი მწვრთნელის — ნელი სალაძის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის აღსაზრდელი სალომე ფაჟავა, რომელმაც სამიოდე კვირის წინათ ევროპის გუნდურ პირველობაზე მე-3 ადგილი დაიკავა. სალომე ესპანეთში თანატოლთა შორის შეუდარებელი იყო — ჯერ მრავალჭიდში აჯობა ყველას (მეორე-მესამე ადგილებზე ებრაელი ადარ ელჰაიკი და რუსი იანა სლობოდსკაია გავიდნენძ, მერე რგოლით, ბაფთითა და გურზებით ვარჯიშში მოიპოვა ოქროს მედლები. ამავე ასაკში გამოდიოდა ანა ზუმბულიძე, რომელსაც გურზებით „ბრინჯაო“ ერგო.

ლექსო ცინცაძე

რაგბი

# ვერ იალაფეს



**ამერიკაში გრძელდება 20 წლის მორაგბეთა „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფი“, სადაც 2013 წლის მსოფლიო პირველობის საგზური თამაშდება. უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ იაპონური ბარიერი ვერ გადალახეს.**

ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებთან მატჩი ქართველთა შეტევებით დაიწყო და მე-5 წუთზე ერთ-ერთი იერიში ლელოთი დაასრულეს. ამის შემდეგ იაპონელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და პირველი ტაიმის ბოლოსთვის 24 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ — 29:5. შესვენების შემდეგ „ბორჯღალოსნები“ გამოფხიზლდნენ, მათი იერიშები უფრო სახიფათო გახდა, რამდენიმე ლელოც გაიტანეს, მაგრამ მატჩი მაინც დათმეს — 33:36, რითაც მხოლოდ მე-3 ადგილისთვის თამაშის უფლება შერჩათ. მსოფლიოს პირველობის ერთადერთი საგზურისთვის 30 ივნისს იაპონია აშშ-ს დაუპირისპირდება. საქართველო ტონგას შეხვდება.

გივი გაგუა

## აზრა სხვაა, საქმე — სხვა!

# მე ვარ და ჩემი ნაბადი?!

## ხელისუფლების ელიტას სახელმწიფო ბიუჯეტი და „ნაციონალური მოძრაობის ფონდი“ გაიგივებული აქვს

**ნაციონალებმა ქველმოქმედება კანონით აკრძალეს. თუმცა ეს კანონი მათ პირადად ივანიშვილისთვის მიიღეს, თორემ თვითონ, მშვენივრად უვლიან გვერდს აკრძალვებს.**

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ – ამგვარი წარწერებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლებმა, ქვეყნის არაერთ რეგიონში შენიშნეს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსით, პოლიტიკურ პარტიებს საქველმოქმედო საქმიანობა ეკრძალებათ. ეს ითვლება ამომრჩევლის მოსყიდვად და სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა. მით უმეტეს, რომ მზრუნველობამოკლებულებს ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები აფინანსებენ. ეს კი დამატებით სახელმწიფოს ადმინისტრაციული რესურსის თვითმიზნით გამოყენების მუხლით კვალიფიცირდება.

ოზურგეთის გამგეობაში იმდენად არიან დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილნი ან იმ დონის არაპროფესიონალები სხედან, რომ არასამთავრობოებს დაუფარავად განუცხადეს, მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოები „ნაციონალური მოძრაობის“ პროექტია და მათ აქვთ, უფლება სასადილოებს ინიციატორი პარტიის სახელწოდება მიაწერონო. მომხდართან დაკავშირებით, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი დავით მესხიძე მოითხოვს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, რადგანაც მისი უშუალო მოვალეობაა, კონტროლი გაუწიოს სახელმწიფო ორგანოს მიერ დაფინანსებულ ობიექტებს. მით უმეტეს მაშინ, თუ ვინმე მათ პოლიტიკური მიზნით იყენებს, არა თუ წაახალისოს ამგვარი ქმედებები.

ანალოგიური წარწერის გამო ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან კონჯარიამ გაოცება ვერ დამალა – ამ სასადილოებს ავეჯი და სხვა ინვენტარი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეუძინა და აზრა რა პრობლემააო.

უფრო შორს წავიდნენ დუშეთის გამგეობაში. უფასო სასადილოზე გაკრულ აზრასთან ერთად „ნაციონალური მოძრაობა“ იტყობინება, რომ სურვილებისა და შენიშვნების შესახებ მოქალაქეები დაუკავშირდნენ დუშეთისა და მცხეთა-მთიანეთის ნაციონალური მოძრაობის რაიონულ და სამხარეო ორგანიზაციებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ იურისტი ირინე ურუშაძე, აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას ეწევა, ირიბად იყენებს სახელმწიფო (ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტებისასძ ფინანსებს პოლიტიკური სარგებლისათვის (რეკლამის სახითძ ისე, რომ საკუთარი ჯიბიდან ერთ თეთრსაც არ ხარჯავს.

### მოჩვენებითი გულმავიწყობა — სინამდვილეში კანონის სრული იგნორირება

**ნაციონალების მიერ ერთი პიროვნების წინააღმდეგ მიღებული ახალი კანონმდებლობით, პოლიტიკურ პარტიებს ფონდების (ნებისმიერი მიზნით) დაარსება ეკრძალებათ.**

მაგრამ თბილისის ცენტრში, პარლამენტის გვერდით, ლესია უკრაინკას №1-ში, სადაც წლების განმავლობაში ნაციონალური მოძრაობის სათაო ოფისი იყო, დღესაც არსებობს ამ მოძრაობის საქველმოქმედო ფონდი.

ნაცელიტა ამ შენობიდან ცოტა ხნის წინათ კახეთის გზატკეცილზე გადავიდა. ფონდი კი ძველ მისამართზე დარჩა. კანონით აკრძალვების გამო ნაციონალებს ფონდის არსებობა რატომღაც „მივიწყებული“ ჰქონდათ.

პარლამენტარი ანდრო ალავიძე აცხადებს, რომ „ფონდმა“ მუშაობა 2006 წელს შეაჩერა. ამის შემდეგ იქ არავითარი შეწირულობა, ტრანსაქცია არ განხორციელებულა. მგონი, აღარც არსებობს – მოჩვენებით „გულმავიწყობს“ ნაციონალი დეპუტატი.

საჯარო რეესტრის მონაცემებით კი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საქველმოქმედო ფონდი 2005 წ. 16 ნოემბერს დაფუძნდა და დღესაც პარტიის ძველ მისამართზე – ლესია უკრაინკას №1-შია.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლიკო კუბლაშვილი ასეთი ფონდის არსებობას საერთოდ ვერ იხსენებს და აცხადებს – „კონტროლის პალატას მივმართავ, ფონდის საქმიანობა შეისწავლოს და დასკვნა დადოს“.

„ქართულ ოცნებაზე“ დაგეშილი კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელი ნათია მოგელაძე აღნიშნავს, რომ ნაცების საქველმოქმედო ფონდის შესახებ ცოტა ხნის წინათ შეიტყო. იგი აპირებს ინფორმაციების გამოთხოვას ფონდის ფინანსური საქმიანობის შესახებ და შეისწავლის მათ. მაგრამ მოსალოდნელი სანქციების შესახებ არაფერს ამბობს.

საინტერესოა, რატომ არ მოხდა ფონდის ლიკვიდაცია, თუკი ის 2006 წლიდან აღარ ფუნქციონირებდა და რა მიზნებისათვის ინახავდა ხელისუფლება („ნაცმოძრაობა“ძ მას. წინასწარ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოგელაძის უწყება ამის შესახებ რაღაც აბდაუბდას მოგვახსენებს, თუ საერთოდ არ მიაჩუმათა საკითხი.

### წავა ხელისუფლება პარიტეტული ორგანოს შექმნაზე?

**პოლიტიკურ პარტიათა შესახებ მიღებულმა კანონმა მთელი ოპოზიციური სპექტრის უკმაყოფილება გამოიწვია. მით უმეტეს, როდესაც ფინანსური მონიტორინგის სამსახური ხელისუფლების ქვემდებარე კონტროლის პალატაში შეიქმნა და მის ხელმძღვანელად ნაპროკურორალი ნათია მოგელაძე დაინიშნა.**

სიტუაციის განსამუხტავად იურისტთა და უფლებების დამცველთა ერთ ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიქმნას ანტიკორუფციული კომისია, რომელიც პარიტეტულ შემადგენლობაზე იქნება დაფუძნებული.

იურისტთა განმარტებით, ნოვაცია მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს არ შეეხოთ. ახლად შექმნილმა ორგანომ უნდა შეამოწმოს თანამდებობის პირთა მიერ შევსებული დეკლარაციების სიზუსტე.

საარჩევნო პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი კახა კახიშვილი აცხადებს, რომ კანონმდებლობით, აპრილში თანამდებობის პირებს (მათ შორის უმაღლესი რანგისასძ უწევთ ქონებრივი დეკლარაციების შევსება. მაგრამ არსებული კანონებით, არ არსებობს მექანიზმი შევსებულის გადამოწმებისა, შეტანილი მონაცემების რეალურთან შედარებისა.

კახიშვილის განმარტებით მსგავსი ორგანო შევარდნაძის პერიოდში, 2001 წელს შეიქმნა. მისი შემადგენლობა 12-კაციანი იყო. მათგან 6 საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან უნდა ყოფილიყო. თუ შერჩევის პროცესში რაიმე პრობლემები შეიქმნება, შესაძლოა, გამოიყენონ სახალხო მსაჯულთა შერჩევის პრინციპი. – საარჩევნო სიებიდან მოქალაქეთა ე. წ. „ბრმა შერჩევა“.

იურისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი კომისია, თუ მას კანონით დადგენილი ბერკეტები არა აქვს, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილებები და მათზე რეაგირება მოახდინოს, მკვდრადშობილია. კანონმა უნდა მიანიჭოს მას მოკვლევის (არ იგულისხმება საპროცესოძ უფლება, ახსნა-განმარტების ჩამორთმევის, ყოველგვარი ინფორმაციის მიღებისა და შემდგომი დასკვნის გაკეთების უფლებები. სწორედ საბოლოო შედეგზე უნდა მოახდინოს პროკურატურამ დასკვნა.

საბჭო (თუკი ჩამოყალიბდაძ აუცილებლად უნდა გახდეს წონადი ორგანო, შევარდნაძის დროს ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელი უშიშროების საბჭოს წევრი იყო.

ვარდოსნებმა ხელისუფლებაში მოსვლიდან ცოტა ხანში ანტიკორუფციული საბჭო იმ მოტივით გააუქმეს, რომ ხელისუფლებაში კორუმპირებული ჩინოვნიკები არა ჰყავთ. მაგრამ რეალობა სხვას გვაჩვენებს. საზოგადოებაში სულ უფრო მყარდება ეჭვი, რომ უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები ღრმად არიან ჩაფლული კორუფციის ჭა-



ობში. ეს ეჭვები რომ გაქარწყლდეს, ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა შექმნას ანტიკორუფციული, ხალხის ნდობით აღჭურვილი საბჭო. ეს ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. – აცხადებენ სპეციალისტები.

ზოგიერთი იურისტსა და უფლებების დამცველს მიაჩნია, რომ ანტიკორუფციული საბჭოს შექმნის იდეის ხელისუფლებისთვის შეთავაზება წყლის ნაყვაა. როგორც ვთქვით, ნაციონალებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააუქმეს მსგავსი ორგანო და მას „შევარდნაძის გადმონაშთი“ უწოდეს.

დღეს, როდესაც ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, რომელთაც ღრმად აქვთ შეტოპილი, ამგვარი სამსახურის შექმნაზე არ წამოვლენ, მით უმეტეს, რომ არჩევნები ახლოვდება. თუ მაინც დათანხმდნენ ნოვაციას, მას მათთვის სასურველი მისაღები წევრებით დააკომპლექტებენ და მივიღებთ კიდევ ერთ ახალ, ხელისუფლების ინტერესების დამცველ და გამტარებელ მაკონტროლებელ ორგანოს, რომლის მარგი ქმედების კოეფიციანტი ნულის ტოლი იქნება, – მიაჩნიათ ექსპერტებს.

**ზაზა ბილიხოძე**

## თარიღი

# მარშალის გეგმის „ოქროს წვიმა“



**ზუსტად 65 წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა ომის შემდგომ კოლაფსში მყოფი ევროპისთვის დახმარების გაწევის გეგმა გამოაქვეყნა. სინამდვილეში კი ეს ზომები საბჭოთა კავშირისთვის საბერძნეთის, იტალიისა და საფრანგეთის თავის კონტროლის ქვეშ დაყენებაში ხელის შეშლას ისახავდა მიზნად.**

1947 წლის ივნისში ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა წინაშე გამოსვლისას ჯორჯ მარშალმა საზეიმოდ განაცხადა, რომ ამერიკა თავის თავზე იღებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ომით დანგრეული ეკონომიკების აღორძინებას. ამ საქმისთვის, რომელსაც ავტორის სახელი – მარშალის გეგმა უწოდეს, ვაშინგტონმა 13,7 მილიარდი (ამჟამინდელი კურსით 150 მილიარდიძ დოლარი გამოყო, თუმცა კი ევროპელები 28 მილიარდს ითხოვდნენ, რაზეც ამერიკელებმა უარი განაცხადეს.

საქმე საშური იყო, რადგან ევროპა სრული ქაოსის საფრთხის წინაშე იდგა: ლონდონის ნავსადგურის საწყობებში ქვანახშირის სულ რამდენიმე დღის სამყოფი მარაგიღა იყო დარჩენილი, ლიეჟში კი ქალაქის ავტობუსებს... ცხენები ჩაუბეს. ძველი კონტინენტის ქვეყნების მოსახლეობა სოციალური აფეთქების საშიშ წერტილს უახლოვდებოდა, ახლად შექმნილი ცენტრალური დაზვერვის სამმართველო თეთრ სახლს საგანგაშო ცნობებით აშინებდა: საკმარისია სტალინის ყურმილის ერთი აღება და საბერძნეთში, იტალიასა და საფრანგეთში იმ წამსვე რევოლუციები იფეთქებსო.

„ოქროს წვიმამ“, რომელიც ოთხი წლის მანძილზე დასავლეთ ევროპის თექვსმეტ ქვეყანასა და მოკავშირეთა მიერ გერმანიის ოკუპირებულ ტერიტორიას აწვიმდა, ისინი უფსკრულის პირას გააჩერა, შემდგომ კი მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის საშუალება მისცა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თითოეულ კაცზე არცთუ ბევრი ფული – წელიწადში 100 დოლარზე ოდნავ მეტი დაიხარჯა.

**ნინო ალექსანდრია**

---

**საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია და თსსუ ფარმაცევტული ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პროვიზორი, ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი, ფარმაციის მეცნიერებათა დოქტორი**

**სოკრატ სალუქვაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ს.ს. ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მედიცინის დოქტორი**

**თინა ბილანიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობა, რექტორატი და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა „ცოდნის“ ცხინვალის რეგიონის ყოფილი პასუხისმგებელი მდივანი, ცხინვალიდან ლტოლვილი, სიკეთითა და მოყვასის სიყვარულით გამორჩეული პიროვნება**

**შურა გალეგაშვილი**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 28, 29 VI, 17 სთ. დაკრძალვა 30 VI. მის. ვარკეთილის ზემო პლატო, მე-2 მიკრორაიონი, კორპუსი 15, ბინა 12 (მეტრო „ვარკეთილიდან“ სამარშრუტო ავტობუსი 223, ბოლო გაჩერება).**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა:** იქნებ ამიხსნათ, რა საბუთების წარდგენაა საჭირო ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისთვის საქართველოში პენსიის დასანიშნად.

**ლევან ამირიძე**

**პასუხი:** ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურს უნდა წარუდგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ იგი არ იღებს არანაირ პენსიას ან სოციალურ დახმარებას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც ითვლება.

* * *

**კითხვა:** რა შემთხვევაში შეიძლება ჩემი კუთვნილი პენსია ბინაზე მომიტანონ? ვარ I ჯგუფის ინვალიდი, არ მყავს კანონით ვალდებული მარჩენალი და მიჭირს ყოველთვიურად ბანკში მისვლა.

**ზაირა ამირანაშვილი**

**პასუხი:** პენსიონერისთვის პენსიის ბინაზე მიტანა ხორციელდება განსაკუთრებულ შემთხვევებში, პენსიონერის წერილობითი განცხადების საფუძველზე. აქვე გაცნობებთ, რომ პირობები, რომლებიც თქვენს შეკითხვაშია მითითებული, საკმარისია იმისთვის, რომ პენსია ბინაზე მოგიტანონ. აღნიშნულ საკითხზე საჭიროა მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს თქვენი რაიონის სამსახურს.

## განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ გამოსაცემად მომზადდა წიგნი „საქართველოს მეცნიერებათა დოქტორები 1992-2006 წწ.“. ერთი წიგნის სარეალიზაციო ფასი განისაზღვრა 27 ლარით. წიგნის შესყიდვის მსურველთათვის თანხის ჩარიცხვა მოკლე ვადაში შესაძლებელია შემდეგ რეკვიზიტებზე: სს ‚ლიბერთი ბანკი“ კოდი: LBRTGE22, ანგ: GE80LB0121115150495000. გვარის, სახელისა და მეცნიერებათა დოქტორის დარგის მითითებით. საკონტაქტო ტელეფონები: 299-85-28 (სამს.); 599-97-10-12 (მობილ.). ირინა ხაფარიძე

## ჩვენი კარაბადინი

# შვიდი სარმა

**ხანგრძლივი სიარულის, ვენახსა და ბაღში მუშაობის შემდეგ ტკივილი და დაღლილობა ფეხებში — სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. მაგრამ ზოგჯერ ტკივილები ფეხებში — ეს ერთგვარი ზარია რაღაც იმისა, რომ ორგანიზმში ყველაფერი რიგზე არაა. მაინც რა?**

### 1-ლი მიზეზი. ვარიკოზი

**ვენური სისხლის უკუდენის დარღვევის გამო წნევა სისხლძარღვებში იზრდება და ხდება ვენური შედედება. სწორედ ის იწვევს სიმძიმის შეგრძნებას ფეხებში, შეუნელებელ ტკივილს, რომელიც დღის ბოლოსთვის ძლიერდება.**

**რა უნდა ვქნათ?** მიაკითხეთ ფლებოლოგს, რომ გაგიკეთოთ ვენების ულტრაბგერითი გამოკვლევა. სისხლძარღვების მდგომარეობის შესაბამისად, ექიმი დანიშნავს მკურნალობას. ტკივილების შეგრძნების შესამცირებლად შეიძლება ვატაროთ კომპრესული ტრიკოტაჟი. დილაობით 5 წუთის განმავლობაში ვაკეთოთ ტერფის ბრუნვითი მოძრაობები. სამუშაო დღის შემდეგ ფეხებზე გადავივლოთ ცივი წყალი. ზაფხულობით ვიაროთ ფეხშიშველა. ეს ყველაფერი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.

### მე-2 მიზეზი. თრომბოფლებიტი

**ვენურმა შედედებამ ვენის სხივში შეიძლება თრომბი გამოიწვიოს. თრომბოფლებიტს თან ახლავს**



**მწვავე პულსირებული ტკივილი და წვა ფეხის კუთხეებში. ჩნდება სიწითლე და შეშუპება. ვენები მკვრივდება და იმდენად მტკივნეულია, რომ ხელის შეხებაც გიჭირს. ტემპერატურამ შეიძლება 38 გრადუსამდე აიწიოს.**

**რა უნდა ვქნათ?** სასწრაფოდ უნდა მივაკითხოთ სისხლძარღვების ქირურგს, გავიკეთოთ ანგიოსკანირება და სისხლის ანალიზი. ეს პროცედურები საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ ვენების დახშულობის ხარისხი და თრომბის მოწყვეტის ალბათობა.

### მე-3 მიზეზი. საჯდომის ნერვის ანთება

**ასეთი ტკივილების ყველაზე ხშირი მიზეზები ხერხემალთშორისი თიაქარი და ოსტეოქონდროზია. ამის გამო ხდება ნერვის ძირის შეკუმშვა. ტკივილები ვრცელდება საჯდომის ნერვზე: ზურგის ქვედა ნაწილიდან დუნდულში და უფრო ქვევით ფეხის უკანა ზედაპირზე თვით ტერფამდე. ტკივილებს თან ახლავს ხან წვის შეგრძნება, ხან შეცივება, ხან დაბუჟება.**

**რა უნდა ვქნათ?** გავიაროთ კონსულტაცია ნევროლოგთან.

### მე-4 მიზეზი. ოსტეოპოროზი

**ოსტეოპოროზი — ეს არის ძვლის ქსოვილის შევიწროება, რომელიც ჩნდება კალციუმის დეფიციტის გამო. ფეხებში ჩნდება კრუნჩხვა, ძლიერი ტკივილებია ნაკუთალში. რისკის ჯგუფშია: ქალები 40 წლის შემდეგ, განსაკუთრებით სუსტები და ქერათმიანები, აგრეთვე მწეველები და ყავის დიდად მოყვარულები.**

**რა უნდა ვქნათ?** უნდა გავიკეთოთ დენსიტომეტრია — ძვლის ქსოვილის სიმკვრივის გამოკვლევა (რენტგენოლოგიური ან ულტრაბგერითი). შედეგების საფუძველზე ექიმი დანიშნავს კალციუმის პრეპარატებს. მაგრამ ამ გამოკვლევის გარეშეც არ უნდა დავივიწყოთ ის პროდუქტები, რომლებიც ამ მიკროელემენტს შეიცავს.

### მე-5 მიზეზი. შაქრის დიაბეტი

**ამ დაავადების დროს ტკივილებსა და სიმძიმეებს ფეხებში ხშირად თან ახლავს კრუნჩხვებიც ღამით. ფეხებში ჩნდება შეშუპება, გეჩვენება, რომ მათში ჭიანჭველები დადიან, იწყება დაბუჟებისა და ჩხვლეტის შეგრძნება. კანჭის კანი ხდება მშრალი, იქერცლება.**

**რა უნდა ვქნათ?** აუცილებლად უნდა გავიკეთოთ სისხლის ანალიზი შაქარზე და გავიაროთ კონსულტაცია ექიმ-ენდოკრინოლოგთან.

### მე-6 მიზეზი. ბრტყელტერფიანობა

**ის შეიძლება იყოს არა მხოლოდ თანდაყოლილი, არამედ შეძენილიც მოზრდილ ასაკში. ბრტყელტერფიანობის დროს ტერფის კუნთები და იოგები სუსტდება.**

**შედეგად ტერფი კარგავს საამორტიზაციო ფუნქციას, რის გამოც გვტკივა ფეხები. ისინი ხდებიან როგორც ტყვიისა, სიარულის დროს მალე იღლებიან, მუდმივად გვტკივა.**

**რა უნდა ვქნათ?** უნდა წავიდეთ მიღებაზე ორთოპედთან, აუცილებლობის შემთხვევაში ვატაროთ ორთოპედური ფეხსაცმელი.

### მე-7 მიზეზი. ართრიტი

**ტერფში ათზე მეტი სისხლძარღვია, რომლებიც ინფექციის გამო იწყებენ ნგრევას, ჩნდება ანთება. ართრიტის დროს ფეხები მთელი დღის განმავლობაში გვტკივა, ტკივილი ხან ძლიერდება, ხან სუსტდება.**

**სხვადასხვაგვარია ტკივილების ხასიათი: სიარულის დროს — მწვავე, ხანგრძლივად ფეხზე დგომის დროს — თითქოს გვიგრეხენ ფეხებს. თავად სისხლძარღვი სივდება, კანი მის გარეთ წითლდება, ხდება ცეცხლოვანი. ქალები ართრიტით 3-ჯერ უფრო ხშირად იტანჯებიან, ვიდრე მამაკაცები.**

**რა უნდა ვქნათ?** სასწრაფოდ უნდა წავიდეთ მიღებაზე რევმატოლოგთან, გადავიღოთ სისხლძარღვების რენტგენი, ჩავაბაროთ სისხლის ანალიზი. დროზე თუ არ დავიწყეთ მკურნალობა, შეიძლება ტერფის ისეთი დეფორმირება მოხდეს, რომ დაგვჭირდეს ქირურგიული ჩარევა.

ЗДОРОВЬЕ

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



### გამოვჭედოთ ამერიკული ოცნება?!

ნანა დევდარიანი თავის საავტორო გვერდში წერს: „ვიდრე ივანიშვილი ქართული პოლიტიკის თავისებურებებს ეცნობა და მის შეუსაბამობებს საკუთარ თავზე გრძნობს, სააკაშვილი თავის მომხრეებთან თავს იქაჩლებს — „მლანძღეთ, რამდენიც გინდათ!“ ქართველი ხალხი კი გრდემლსა და უროს შორის არის მოყოლილი და უროს ყოველი დარტყმით, ქართულის ნაცვლად, „ამერიკული ოცნება“ იჭედება.

**„საქართველო და მსოფლიო“.**

### „გასულ წელს 140 პატიმარი წამებით დაიღუპა“

26 ივნისს წამების საერთაშორისო დღე იყო. ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ დაახლოებით ორ-სამ დღეში ერთხელ ერთი პატიმარი იღუპება. თუ ოფიციალურ სტატისტიკას დავეყრდნობით, 140 პატიმარია დაღუპული მხოლოდ შარშან. საქართველოს ხელისუფლება თუ მოინდომებს, ეს პრობლემა შეიძლება მინიმუმამდე დავიდეს. მაგრამ, რამდენადაც მათი პოლიტიკური ნება არ არის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განუკითხაობა სუფევს.

**„ახალი თაობა“.**

### წყალი გაზის სანაცვლოდ — ცხინვალის პირობა ისევ ძალაშია

მეღვრეკისი, ლამისყანა, თვაურები, ერგნეთი, ტყვიავი, ზემო და ქვემო ნიქოზი, ზემო და ქვემო ხვითი... ეს სოფლები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დღემდე უწყლოდ არიან. ოსური მხარე ამბობს, რომ თუკი თბილისი ახალგორის რაიონს გაზს მიაწვდის, ცხინვალი ამ სოფლებს წყალს მისცემს. როგორც დიმიტრი სანაკოევი ამბობს, ჩვენ თანახმა ვართ, რომ ახალგორს გაზის მოწოდება აღუდგეს... ცხინვალის ხელისუფლების მოთხოვნა კი ასეთია: მომეცით იმდენი გაზი, რომ სამხედრო ბაზებიც მოვამარაგოო, რაც ჩვენთვის მიუღებელია.

**„რეზონანსი“.**

### ირაკლი წერეთელი ივანიშვილის მხარდამჭერი ფონდის შექმნის ინიციატივით გამოდის!

„ვინაიდან ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილს მილიარდერობის გამო დევნის და თავის საარჩევნო კამპანიას არ აფინანსებინებს, ამიტომ ყველამ, ვისაც გვინდა, რომ ეს ხელისუფლება დავამარცხოთ დემოკრატიული არჩევნების გზით, უნდა მივმართოთ ივანიშვილს, რომ თავად აღარ ხარჯოს ფული. ყველა ქართველმა, ვინც მხარს უჭერს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, თავისი მინიმალური შესაძლებლობების ფარგლებში გაიღოს ფული — ვთქვათ, ვიღაცამ დადოს ერთი ლარი, ვიღაცამ — 5. მე დავდებ, სულ ცოტა 100 ლარს... შემდეგ ეს ფული კოალიციას გადაეცეს და კოალიციამ აჩვენოს, რომ ივანიშვილი თავის ფულს კი არა, ქართველი ერის ნებაყოფლობით შემოწირულობებს ხარჯავს“ — წერს ირაკლი წერეთელი.

**„ქართული სიტყვა“.**

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 30 ივნისს**

## კადრი



## ანეკდოტები

**ტიპი საიუველირო მაღაზიაში შევიდა.**

**— ოი, რა კარგია, რომ შემოხვედით, — ეღიმის გამყიდველი გოგონა, — ჩვენთან დიდი ფასდაკლებაა. იაფად უყიდეთ ეს ძვირფასი ოქროს კულონი თქვენს შეყვარებულს! აუცილებლად მოეწონება.**

**— არა მყავს შეყვარებული, — ამოიოხრა მამაკაცმა.**

**— რას ამბობთ! ასეთ წარმოსადეგ, ლამაზ და მაღალ მამაკაცს რატომ არა გყავთ შეყვარებული?**

**— ცოლი არ მაძლევს ნებას!**

* * *



**— ჩემს შეყვარებულ გოგონას ეგონა, რომ მას ვღალატობ, წავიდა მკითხავთან... ჯადო გააკეთებინა... და ახლა ჰგონია, რომ უკვე არ ვღალატობ.**

**— ცურვა იცი? — ეკითხება გამომცდელი სვანს.**

**— ვიცი.**

**— სად ისწავლე?**

**— წყალში, კაცო!**

* * *

**— რამდენი კილო ხართ?**

**— 135.**

**— და რამდენს გინდათ რომ იწონიდეთ?**

**— 90!**

**— აჰა, 135-ს გამოვაკლოთ 90, მივიღებთ 45-ს. შემიძლია ფეხი მოგაჭრათ!**

**— რა??**

**— არა, არა, უბრალოდ ვარიანტებს ვირჩევ.**

* * *

**— დედი, გახსოვს ის ჩინური ფაიფურის ვაზა, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას? — ეუბნება გოგონა მშობელს.**

**— ცხადია, მახსოვს. რატომ მეკითხები?**

**— ჩემმა თაობამ შეწყვიტა ეს ტრადიცია.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24